მეექვსე წელიწადი

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ტ თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალურ-ალმასკომის ორგანო

რედაქცია — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეოთხე სართული

მთავარი კანტორა — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეოთხე სართული, ტელეფონი № 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.

ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

ბეჭდვის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ყოველ „დროშას“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. ვ ი ნ ც ა ხ ა დ ებ ი: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამკლოვიანი—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

ბეჭდვის ტელეფ. 5—48, ხელმოწერის ტელ. 13—80.

საქართველოს სსრ. სახ. ბიბლიოთეკა

დღის უმნიშვნელოვანესი

— პეკინში გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგი იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ მანჯურიაში.

— ხელმოწერილია ინგლის-ირაკის შეთანხმება.

— სამხრეთ-აფრიკის (ინგლისის ახალშენია) მთავრობა უარს ამბობს ლოკარნოს ხელშეკრულებაზე.

— რუმინეთში გაიშიცენ ადგოკატები.

— გადადგა ავსტრიის მთავრობა.

შაბათი, 16 იანვარი 1926 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 12 (1467)

ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის შედეგი

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია მოწვეული იქნება ა | წ. 25 იანვარს ქ. ერევანში. ამ ფაქტს, ე. ი. ჩვენი ფედერაციის უმაღლეს საბჭოთა ორგანოს სესიის გახსნას სომხეთის დედაქალაქში, აქვს პირველ ყოვლისა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა.

რო თავი დავანებოთ მეფის რეჟიმს, ამიერ-კავკასიაში ნაციონალისტურ პარტიების (მენშევიკების, დაშნაკები, მუსავატელები) ბატონობის დროს ჩვენი ქვეყნები განუწყვეტელი ეროვნული ბრძოლის და შუღლის ასპარეზად იყვნენ გადაქცეული. ერთმანეთისგან სრული განკერძოება, მეზობელთ შორის უაზრო სისხლისღვრა, ერთმანეთისათვის სამარის გათხრა,—აი შედეგი ნაციონალისტების პოლიტიკისა, რომელიც მძიმე მემკვიდრეობით გადმოეცა საბჭოთა ხელისუფლებას.

ჩვენს პარტიას მეტად დიდი მუშაობის წარმოება დასჭირდა ამ მემკვიდრეობის აღმოსაფხვრელად და ნაციონალურ მშვიდობიანობის დასამყარებლად ამიერ-კავკასიაში მოსახლე ხალხთა შორის. ჩვენმა სწორმა ნაციონალურმა პოლიტიკამ, რომელსაც საფუძვლად უდევს ყველა ერთა თანასწორუფლებიანობის ნამდვილი, და არა სიტყვიერი, აღიარება, მათი ეკონომიურ-კულტურულ განვითარებისათვის თანაბრად ზრუნვა, ჩვენ მიერ ამ მხრივ ჩატარებულმა მუშაობამ სათანადო ნაყოფიც გამოიღო. ამიერ-კავკასიის ყველა ხალხები გაერთიანებული არიან ფედერაციაში, ძმურად ცხოვრობენ, ხელიხელ ჩაკიდებული ეწევიან აღმშენებლობას საუკეთესო მომავლისათვის.

ამიერ-კავკასიის ცაკის სესიის მოწვევა სომხეთში გამოხატულებაა ხალხთა ამ თანასწორუფლებიანობის, სოლიდარობის მშვიდობიანი [illegible] ბის და თანასაზრდოობის, რომელსაც მიაღწია ჩვენმა პარტიამ და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ. თავის მხრივ სესიის გახსნა სომხეთში კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენ ხალხთა სოლიდარობას, ხელს შეუწყობს უფრო ერთმანეთთან უფრო დაახლოვებას.

ძველი რეჟიმის დროს მთავრობა მოწყვეტილი იყო მასისაგან, მოწყვეტილი არა მარტო ტერიტორიალურად, არამედ პოლიტიკურად, მთელი თავისი ბუნებით და მიზნებით. ხალხსა და მთავრობას შორის ჩინური კედელი იყო აღმართული. საბჭოთა ხელისუფლება მასსის ხელისუფლებაა, მასთან უშუალოდ ტ მტკიცედაა დაკავშირებული. ეს სრას ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში. ამიერ-კავკასიის უმაღლეს საბჭოთა ორგანოების წარმომადგენელთა შეკრება სომხეთის დედაქალაქში ხელისუფლების მასებთან ცოცხალი კავშირის მაჩვენებელია.

ნაციონალისტურ პარტიების ბატონობის დროს, როცა აქ მოსახლე ხალხთა ენერგია უმთავრესად ურთიერთ ომებსა და მტრობას ეწირებოდა, როცა მშრომელი ხალხის კეთილდღეობაზე, ქვეყნის აღორძინებაზე სერიოზულად არავინ იტკივებდა თავს,—ამიერ-კავკასიის სამეურნეო ცხოვრება განადგურებისაკენ მიექანებოდა, ხალხთა მასსა გაღატაკების გზას ადგა. საბჭოთა ხელისუფლება კი ყოველ ღონეს ხმარობს მათი გამოსაყვანად წინანდელ ეკონომიურ-კულტურულ სიბეჩავიდან. ამ მხრივ უდიდესი მიღწევები გვაქვს. კერძოდ სომხეთი, რომელიც მსოფლიო და სამოქალაქო ომის დროს მეტად გაჩანაგებული იყო, სწრაფი აყვავების პროცესს განიცდის. ხესიის დღის წესრიგში დასმულია ამიერ-კავკასიის და სომხეთის მთავრობის მოხსენებები, რომლებშიც მოცემული იქნება სრული და ნათელი სურათი ამ აღორძინების, აღმუსხული იქნება მიღწეული შედეგები.

მაგრამ ცხადია, რომ იმ მოკლე ხნის განმავლობაში, რაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობს ამიერ-კავკასიაში, და იმ მძიმე პირობებში, რომლებშიც ჩვენ გვიხდებოდა მუშაობა, შეუძლებელი იყო ყველაფრის გაკეთება. გასაკეთებელი შემდეგი სათვის უამრავია, კერძოდ სასოფლო მეურნეობის დარგში. ჩვენი მხარე ხომ უმთავრესად სასოფლო-მეურნეობის ქვეყანაა და სწორედ სოფლის მეურნეობის აღორძინებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამიტომ ხესია სპეციალურად განიხილავს საკითხს „ღონისძიებების შესახებ ამიერ-კავკასიაში მეურნეობის გასაუმჯობესებლად და ასაღორძინებლად“.

უდაბურ ადგილების მორწყვა, ტაობების ამოშრობა, ამ გზით ზედმეტი გამოსადეგი მიწების ფონდის შექმნა, აგრონომიული ცოდნის გავრცელება, თანამედროვე მანქანების [illegible] სათვის, ძეირფას კულტურათა გაჩეითარებისათვის ხელის შეწყობა, იფი და გრძელბოჭიანი კრედიტის მაცდა მშრომელ მეურნეთათვის, მოსახლეობის კოოპერატიული დარაზმვა ამ მიზნების მისაღწევად და მრავალი სხვა,—აი რა ამოცანები დგანან ჩვენს წინაშე. ცაკის სესია იქონიებს მსჯელობას ამ საკითხების შესახებ და გამოიმუშავებს კონკრეტულ ლონისძიებებს მათი გადასაჭრელად.

სესიის წევრები უშუალოდ გაეცნობიან სომხეთის ეხლანდელ საქმიროებებს და მოთხოვნილებებს, რაც ხელს შეუწყობს მათ დაკმაყოფილებას შესაძლებლობის ფარგლებში.

ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობა, ხალხთან ხელისუფლების მჭიდრო კავშირი, მასების თვითმოქმედება, როგორც ჩვენი ფედერაციის, ისე საკავშირო ცენტრის დახმარება ნაციონალურ რესპუბლიკების ასაღორძინებლად—უტყუარი საწინდარია საბჭოთა ხელისუფლების უფრო მეტი განმტკიცების და ახალ-ახალ გამარჯვებისა სამეურნეო და კულტურულ ფრონტებზე.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების ყრილობისათვის

(წინადადების წესით)

თებერვალში მოწვეული იქნება სრულიად საქართველოს პროფესიონალური კავშირების ყრილობა. საჭიროა წინდაწინ განსაზღვრა, თუ რა ხასიათის უნდა იყოს ყრილობა, რას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მან.

არის თუ არა რამე ახალი საბჭოთა პროფესიონალურ მოძრაობის საკითხებში, რომელიც უნდა გადაჭრას ყრილობამ? ახალი ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანიც არის.

ის შეეხება კავშირების მუშაობის მეთოდებს შეცვლას. კავშირების ამოცანები და მიზნები კი უცვლელათ რჩება.

იცვლება მხოლოთ ამ ამოცანების განხორციელების ფორმები. კავშირების მუშაობა ლენინურად ხალიათს. კავშირებში ფართო დემოკრატიის გატარებას აქვს არა. განყენებული და თეორიული მნიშვნელობა, არამედ ის საჭირო არის კავშირებში ფართო მასის ჩაბმისათვის.

არც ერთ ორგანიზაციაში, რომელიც არ უნდა აიღოთ, არ არის საჭირო მუშაობის გარკვეული ფორმების ისე დაცვა, როგორც ეს არის საჭირო პროფესიონალურ კავშირებისათვის. სულ უბრალო გადახრაც მუშაობის მეთოდებში და მისი ოდნავად დამახინჯება პროფესიონალურ კავშირს დაუკარგავს მასიურ ორგანიზაციის ელფერს. რაც უნდა კარგი მოსახრებით არ ტარდებოდეს და წყდებოდეს ესა თუ ის საკითხი პროფესიონალურ ორგანოებში, თუ ის საერთანადო ფორმებში არ იქნა ჩამოყალიბებული, დადებით შედეგს მაგვრათ მოიტანს უარყოფითს.

ყოველგვარ მნიშვნელოვან საკითხს სწყვეტს მასსა. მის მიერ ამორჩეული ორგანიზაცია მხოლოთ მისი აღმასრულებელი ორგანო არის. მასის შეცვლა ორგანიზაციით ან ორგანიზაციის შეცვლა ცალკე პიროვნებით პროფესიონალურ მოძრაობაში, არა თუ პრაკტიკაში, ფიქრათაც კი არ უნდა იქნეს დაშვებული.

ეს უაღრესათ სწორი ხაზი პროფესიონალურ კავშირების მუშაობაში გასულ 25 წელში აღებული იყო როგორც უმაღლეს პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ, ისე პარტიის მიერ. უკანასკნელი საკავშირო კომუნ. პარტიის ყრილობის დადგენილება პროფესიონალურ კავშირების ამოცანების შესახებ ფრიად ღირსშესანიშნავია.

ვინც მასიურ მუშაობას ეწევა, ვინაც აქვს მასასთან თუნდაც შორეული დამოკიდულება, მან ზეპირათ უნდა იცოდეს ეს დადგენილება.

კავშირების ამოცანები და მიზნები შეუცვლელი რჩება, დასახულია ფრიად სწორი ხაზი კავშირების მუშაობისათვის, დაწვრილებით ნაჩვენებია მასიური მუშაობის მეთოდები, მაშრაღა დარჩენია საქართველოს პროფესიონალურ კავშირების მომავალ ყრილობას გასარჩევად და გადაბოდეს ესა თუ ის საკითხი პროფესიონალურ ორგანოებში, თუ ის საერთანადო ფორმებში არ იქნა ჩამოყალიბებული, დადებით შედეგს მაგვრათ მოიტანს უარყოფითს.

ყოველგვარ მნიშვნელოვან საკითხს სწყვეტს მასსა. მის მიერ ამორჩეული ორგანიზაცია მხოლოთ მისი აღმასრულებელი ორგანო არის. მასის შეცვლა ორგანიზაციით ან ორგანიზაციის შეცვლა ცალკე პიროვნებით პროფესიონალურ მოძრაობაში, არა თუ პრაკტიკაში, ფიქრათაც კი არ უნდა იქნეს დაშვებული.

ეს უაღრესათ სწორი ხაზი პროფესიონალურ კავშირების მუშაობაში გასულ 25 წელში აღებული იყო როგორც უმაღლეს პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ, ისე პარტიის მიერ. უკანასკნელი საკავშირო კომუნ. პარტიის ყრილობის დადგენილება პროფესიონალურ კავშირების ამოცანების შესახებ ფრიად ღირსშესანიშნავია.

ვინც მასიურ მუშაობას ეწევა, ვინაც აქვს მასასთან თუნდაც შორეული დამოკიდულება, მან ზეპირათ უნდა იცოდეს ეს დადგენილება.

კავშირების ამოცანები და მიზნები შეუცვლელი რჩება, დასახულია ფრიად სწორი ხაზი კავშირების მუშაობისათვის, დაწვრილებით ნაჩვენებია მასიური მუშაობის მეთოდები, მაშრაღა დარჩენია საქართველოს პროფესიონალურ კავშირების მომავალ ყრილობას გასარჩევად და გადაბოდეს ესა თუ ის საკითხი პროფესიონალურ ორგანოებში, თუ ის საერთანადო ფორმებში არ იქნა ჩამოყალიბებული, დადებით შედეგს მაგვრათ მოიტანს უარყოფითს.

„საკავშირო კომპარტიის ცეკას მიმართვა უცხოელ ამხანაგებისადმი სწორედ რომ აუცილებელი იყო. ჩვენი პარტიის ცეკას უფლებელათ უნდა მიემართა უცხოელ ამხანაგებისათვის და უნდა მიეცა ზოგიერთი აუცილებელი ახსნა იმ დისკუსიის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეთოთხმეტე პარტყრილობაზე.

პარტყრილობის გადაწყვეტილებათა გასაგებათ უცხოელ ამხანაგებმა აუცილებლათ უნდა გაითვალისწინონ ძირითადი განსხვავება იმ პირობებს შორის, რომელშიაც იბრძვიან ოგინი და რომელშიაც ვმოქმედობთ ჩვენ. ეს ძირითადი განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: იმ დროს, როცა ჩვენ წარმოვადგენთ ისეთ პარტიას, რომელიც სათავეში უდგა ხელისუფლებას და ანხორციელებს სოციალიზმს, უცხოელებს ჯერ კიდევ მოსაპოვებელი აქვთ ხელისუფლება. და რაც უფრო ვიზრდებით, რაც უფრო მეტს ეისწრებთ სოციალისტურ აღმშენებლობაში, მით უფრო მეტად უნდა გაიზარდოს ეს განსხვავება ობიექტურ პირობებისა.

„რომ სწორათ იმსჯელონ ჩვენი პარტიის მწვავე საკითხებზე, უცხოელ ამხანაგებმა სრული სისადით უნდა საწყვეტადაო? იმის გამეორებაა, რასაც ვასული წლის განმავლობაში ძალიან ხშირათ ვამბობდით, რის შესახებაც დადგენილებებს ვიღებდით; ან მიღებული ხაზის კიდევ განხილვა და მიღება, ხომ სრულიათ ზედმეტი იქნება?

რომ ეს გამეორება თავიდან ავიცილოთ, კავშირების მომავალ ყრილობას უნდა მიეცეს სრული სხვაგვარი ხასიათი.

ეს ყრილობა არ უნდა გავდეს წარსულს. მასზე უნდა იქნეს დასმული საკითხები იმის შესახებ კი არა თუ რა უნდა გავატაროთ, არამედ იმის შესახებ, თუ სად არ ტარდება და როგორ მახინჯდება მუშაობის აღებული გეზი. აი ამაში უნდა გამოიხატოს ყრილობის მუშაობის მთავარი შინაარსი. მხოლოდ ამ სახით უნდა იქნას დასმული საკითხები. სხვანაირად ყრილობის მუშაობა არ შეიძლება იქნეს ნაყოფიერი.

რომ ყრილობაზე შესაძლებელი იქნეს საკითხების დასმა იმ სახით, თუ რა არ ტარდება და რა მახინჯდება, ამისათვის საჭირო მოხდეს ფართო და ღრმა გამოკვლევა ყველა პროფესიონალურ კავშირების ორგანოების მუშაობის და ყველა აღმოჩენილი დეფექტები კონკრეტულათ დასმული იქნას ყრილობაზე.

დეფექტებს, დამახინჯებას და გადახრას კი ადგილი აქვს კავშირების მუშაობაში. იმის მტკიცება, რომ ჩვენ ეს ეს ადგილი აქვს კავშირების მუშაობაში, ნიშნავს ბოლოდ ბოდიალს. ჩვენი პარტიის ეს მთლიანობა საკმაო თავდებია იმისა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეების იმედებს „კომინტერნის კრიზის“ის შესახებ ეხლაც ისევე დაამსხვრევს ცხოვრება, როგორც წინად“.

ტომელი.

ცეკას წერილის გამო

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი 15 იან. საკავშირო კომპარტიის ცეკას მიმართვის შესახებ კომინტერნის სექციებისადმი „პრავდა“ თავის მოწინავეში სწერს:

„საკავშირო კომპარტიის ცეკას მიმართვა უცხოელ ამხანაგებისადმი სწორედ რომ აუცილებელი იყო. ჩვენი პარტიის ცეკას უფლებელათ უნდა მიემართა უცხოელ ამხანაგებისათვის და უნდა მიეცა ზოგიერთი აუცილებელი ახსნა იმ დისკუსიის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეთოთხმეტე პარტყრილობაზე.

პარტყრილობის გადაწყვეტილებათა გასაგებათ უცხოელ ამხანაგებმა აუცილებლათ უნდა გაითვალისწინონ ძირითადი განსხვავება იმ პირობებს შორის, რომელშიაც იბრძვიან ოგინი და რომელშიაც ვმოქმედობთ ჩვენ. ეს ძირითადი განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: იმ დროს, როცა ჩვენ წარმოვადგენთ ისეთ პარტიას, რომელიც სათავეში უდგა ხელისუფლებას და ანხორციელებს სოციალიზმს, უცხოელებს ჯერ კიდევ მოსაპოვებელი აქვთ ხელისუფლება. და რაც უფრო ვიზრდებით, რაც უფრო მეტს ეისწრებთ სოციალისტურ აღმშენებლობაში, მით უფრო მეტად უნდა გაიზარდოს ეს განსხვავება ობიექტურ პირობებისა.

„ჩვენ ეს ეს ეს ... ჩვენ ... ეს ... ეს ... ეს

მეთოთხმეტე პარტყრილოგის შედეგები

ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენება

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივის საერთო საქალაქო კრებაზე 11 იანვარს

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარეობს ამხ. **მიხ. კახიანი.**

თავმჯდომარე: თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივის საერთო საქალაქო კრებას განსინლათ ვაცხადებ (ტაში).

დღის წესრიგში დასმულია ერთი საკითხი:

„მე-14 პარტყრილოგის შედეგები".

სიტყვა ეკუთვნის ამხ. **ორჯონიკიძეს.** (მჭეხარე ტაში)

ამხანაგებო, უნდა გამოგიტყდეთ, რომ თავი ვგრძნობ მეტად უხერხულ მდგომარეობაში. მე დღეს გადავთვალიერე „ზარია ვოსტოკა"-ს ნომრები, რათა გავეცნო იდეა ომას, თუ რამდენად ფაქტად იყო გაშუქებული ყრილობის მუშაობა ჩვენს პრესაში და დავრწმუნდი, რომ როგორც ამხ. კახიანის მიერ გადმოცემულ კორესპონდენციებში, ისე სტენოგრაფიულ ანგარიშებში უმთავრესი მოსხენებები და სიტყვები მოყვანილია თითქმის სრულად.

მეორე, რისიც მე შეშინია,—ეს არის ის, რომ აქ შეკრებილი ამხანაგები მოელიან ჩემგან რაიმე სენსაციურ ცნობების მიწოდებას. მე უნდა გავუცრუო მათ იმედები და ვსთქვა, რომ არავითარი სენსაციური ცნობები მე არა მაქვს.

ყრილობის მუშაობა გაშუქებული იყო პრესაში თითქმის მთლიანად. არსად, ჩვენი პარტიის არც ერთ კუნჭულში არ დარჩენილა არც ერთი რამ საიდუმლო—არც ორგანიზაციული, არც პოლიტიკური ხასიათისა, რომელიც არ ყოფილიყოს გამოტანილი პრესის ფურცლებზე.

მე ვიცი, რომ აქ შეკრებილ ამხანაგებს ყველაზე მეტად აინტერესებთ ყრილობის მუშაობის ის ნაწილი, რომლის გარშემო გაიმართა დისკუსია მით უმეტეს, რომ დისკუსია თქვენთვის მოულოდნელი იყო, ასე ვსთქვათ, თოვლივით დაეცა ყარათ თავზე. ჩვენ არ მოგვიხდებია პარტია ამ დისკუსიისთვის, თუმცა საკითხები, რომელთა გარშემო გაიმართა ყრილობაზე ეს დისკუსია, არა ერთხელ ყოფილა გამოტანილი ჩვენი პარტიული ცხოვრების სცენაზე. ამხ. ზინოვიევმა განაცხადა, რომ უკვე წელიწად ნახევარია, რაც ერთგვარ უთანხმოებას აქვს ადგილი სხვადასხვა საკითხებშია და თვითეულ თქვენგანს აქვს უფლება სთქვას: „რატომ ლა გვიფარავდით, თუ რაიმე უთანხმოება [illegible] ფერს გვეუბნებოდით, ხოლო როდესაც შეიკრიბეთ მეთოთხმეტე პარტიულ ყრილობაზე, დაერიეთ ერთმანეთს მთელი მსოფლიოს დასანახავად".

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მაინც მართალი ვიყავით, როდესაც გადავსწყვიტეთ სადისკუსიო საკითხები არ გადაგვეტანა ფართო პარტიულ მასებში ოკ ნასკნელ დროამდე; კიდევ მეტს ვიტყვი: ჩვენ იმის წინააღმდეგი ვიყავით, რომ დისკუსია ამ ყრილობაზეც გაგვმართა. ჩვენ ვფიქრობდით, და ვფიქრობთ დღესაც, რომ ყველა საკითხები, რომელთა გარშემო გაიმართა ბრძოლა ყრილობაზე და ის უთანხმოებანი, რომელებსაც ადგილი ჰქონდა ამ ყრილობაზე, არ ყოფილან ისე ღრმა, რომ წოონანბიერის წინად გადაგვეტანა ისინი მასებში. ჩვენ საკითხისა საშოალებათ მიგვაჩნდა ამოგვწურა ისინი ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტის შიგნივ. ჩვენ ეკარგა გვესმოდა, რომ ყოველგვარი დისკუსია პარტიაში, მათ უმეტეს დისკუსია ლენინის უახლოეს მოწაფეთა შორის, გამოიწვევდა გაოცებას როგორც პარტიაში, ისე მის გარეშეც.

მე ვფიქრობ, რომ პარტია არ გაგვასამართლებს ჩვენ ამისათვის, რომ მე-14 პარტყრილობაზე და არა ერთნახევარი წლის წინად გავმართეთ დისკუსია.

მე ვსთქვი, ამხანაგებო, რომ აქ დამსწრე ამხანაგებს ყველაზე მეტად აინტერესებთ ყრილობის მუშაობის ეს ნაწილი. მაგრამ მე მაინც ეერ ვბედავ პირდაპირ გადასვლას ამ საკითხის გაშუქებაზე. მე საჭიროდ მიმჩნია, თუნდაც მოკლედ, შეეჩერდეს პარტიის გენერალურ მდგომარეობის ამხ. სტალინის მოხსენებაზე. ვინაიდან, თუ ჩვენ გვერდს აუხვევთ ამ მოხსენებას, მე ვშიშობ, რომ ვერ შევსძლებთ სწორად ნათლად შეეადგინოთ ოპოზიციის თვალსაზრისი ცეკას უმრავლესობის თვალსაზრისს.

გადავდივარ ცეკას ანგარიშზე.

უწინარეს ყოვლისა უნდა დავაყენოთ კითხვა, რა პირობებში გაიმართა ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობა. როგორია საერთაშორისო მდგომარეობა, როგორია შინაური მდგომარეობა, როგორია იყო ცეკას განვლილი მუშაობას ერთი წელიწადი და როგორია პარტიის ამოცანები მომავალი პერიოდისათვის.

აქ, ამხანაგებო, ნება მომეკითხეთ [illegible] ერთ [illegible] პერიოდს ახასიათებდა ჩვენი მეურნეობის განვითარება ზოდა და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცება, მაგრამ ჩვენს მმენებლობას მიმდინარე წელში წინ ეღობება გაციცლებით მეტი სიძნელენი, ვიდრე იყო წარსულ წელს.

ეუნს გარეშეა, რომ ყრილობაზე ჩატარებული დისკუსიის მიზეზს ნაწილობრივ წარმოადგენდენ ის სიძნელენი, რომლებიც ისახებიან ჩვენს წინაშე.

საერთაშორისო მდგომარეობა

ამხანაგებო, გადავალ საერთაშორისო მდგომარეობაზე. რა არის მთავარი, ახალი ამ სფეროში. ნება მომეცით ადგილი ამის შესახებ პირდაპირ ამოვიღოთ ამხ. სტალინის მოხსენებიდან და წაგიკითხოთ თქვენ. ამხ. სტალინი, გადად ს რა საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებაზე, ამბობს: „მთავარი და ახალი, რაც სწყვეტს ყველფერს და რაც გამიჯნულია ამ პერიოდის ყველა ამბებში საგარეო ურთიერთობის სფეროში,—ეს არის ის, რომ ჩვენი, სოციალისტური მშენებლობის გზაზე დამდგარ ქვეყნისა და კაპიტალისტურ მსოფლიოს ქვეყნებს შორის დამყარდა ერთგვარი დროებითი ძალთა წონასწორობა, წონასწორობა, რომელმაც განსაზღვრა მშვიდობიანი თანაცხოვრების მიმდინარე ხანა საბჭოთა ქვეყნისა და კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის. ის, რასაც ჩვენ ერთ დროს ვეწოდებდით მოკლე ხნით შესვენებას ომის შემდეგ,—იქცა შესვენების მთელს პერიოდად, სხვანაირად რომ ვსთქვათ, კაპიტალისტები ამდენად ლონიერი ვერ არიან, რომ დაამხონ ჩვენი სახელმწიფო; აქედან გამომდინარეობს ერთგვარი ძალთა წონასწორობა და ერთგვარი ჩვენი თანაცხოვრების პერიოდი ბურჟუაზიის მსოფლიოსა და პროლეტარიატის მსოფლიოს შორის".

ჩვენ გახსოვთ, ამხანაგებო, რომ ამხ. ლენინი ყოველთვის თავის ანგარიშებში პარტიის თუ საბჭოთა ყოლიობებზე, მიუთითებდა შესვენებაზე, მიუთითებდა იმაზე, რომ წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის იმდენად ძლიერია, რომ მათ არ შეუძლიათ შეთანხმებულად გამოვიდნენ წინააღმდეგ და ამის შემწეობით რჩება ერთგვარი ხელეული, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ.

და აი, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-9 ე წლის თავზე პარტიის გენერალური მდგომარეობა მიუთითებს იმაზე, რომ მოკლე ხნით შესვენება, რომელიც მაშინ გვქონდა, კ აპიტალისტურ ქვეყნების უძლურების, სისუსტის გამ იქცა შეოსვენების პერიოდათ, რომელიც ნიშნავს ერთგვარ წონასწორობას და რომელმაც ჩვენ საშუალება მოგვცა შევდგომოდით ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს მშვიდობიან აღმშენებლობას.

კაპიტალიზმის წინაალ ბლეგო ბალი.

შემდეგ ამხ. სტალინი გადადის კაპიტალისტურ მსოფლიოს წინააღმდეგობებზე. ის ჰყოფს მათ ხუთ ჯგუფად: „წინააღმდეგობათა **პირველი ჯგუფი**—ეს არის ჯგუფი **მეხუთე ჯგუფ**—ეს არის ჯგუფი. ეს ბურჟუაზიას შორის კაპიტალისტურ ქვეყნებს; **მეორე ჯგუფს** წარმოადგენენ წინააღმდეგობანი იმპერიალიზმსა და კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის; **მესამე ჯგუფს** წარმოადგენენ ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ვითარდებიან, და აო შეიძლება არ განვითარდნენ, იმპერიალისტურ ომში გამარჯვებულ და დამარცხებულ სახელმწიფოთა შორის; **მეოთხე ჯგუფს** წარმოადგენენ წინააღმდეგობანი, რომლებიც ვითარდებიან, **და არ შეიძ**ლება არ განვითარდნენ, **თვით** გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის, **და მეხუთე ჯგუფი**—ეს ჯგუფი იმ ჩინაალმდეგობათა, რომლებიც ვითარდებიან საბჭოთა ქვეყანასა და კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის საერთოდ".

ეი ის მთავარი ხუთი წინააღმდეგობა, რომელთა ფარგლებში სწარმოებს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის განვითარება.

მე არ შეეჩერდები ცალ-ცალკე ამ წინააღმდეგობათა თვითეულ ჯგუფზე, რადგან დაჭმუსებული ვარ, რომ ამხანაგები იცნობენ მათ ურილობის ანგარიშებ დან. ამის საშუალება ყველას ჰქონდა.

მე შეეჩერდები წინააღმდეგობათა ერთ ჯგუფზე—კაპიტალიზმის სტაბილიზაციაზე.

კაპიტალიზმის სტაბილიზაცია

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ჩვენ 2—3 წლის წინ აღვნიშნაეთ, რომ დასავლეთ-ევროპის კაპიტალიზმი გამოვიდა იმ ქაოსიდან, რომელშიაც ის მოექცა ომის შედეგ და სდგება სტაბილიზაციის გზაზე რასნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოო ძალთა განვითარება წინმიდის, ბურჟუაზიის პოლიტიკური ძალა-უფლება მტკიცდება. თუ ჩვენ განვიხილავთ ეხლა ციფრებს, რომლებიც ახასიათებენ ევროპ ს მდგომარეობას, დავინახავთ, რომ, რო გორც საფრანგეთი, ისე იტალია, ინგლისი და სხვ., ერთი სიტყვათ, დასავლეთ ევროპის და ამერიკის ყველა სახელმწიფოები სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან ომის წინანდელ დონეს. საფრანგეთმა, როგორც სჩანს, კიდეც გ ადაბიჯა ომის წინადროინდელ მდგომარეობასაც.

წარმოება ევროპის ყველა მოწინავე სახელმწიფოებში ან მიდის წინ 1919 წელთან შედარებით, ვითარდება, აღწევს რა ალაგ-ალაგ ომის წინანდელ ნორმის 80—90 პროცენტამდე, ან სდგას ერთ ნორმაზეგ მხოლოდ ინგლისში ჯერ კიდევ ვერ მოლონიერდენ წარმოების ზოგიერთი დარგები. საერთოდ თუ ავიღებთ ევროპას, წარმოება და ვაჭრობა წინ მიდის, თუმცა ჯერ კიდევ ვერ აღწევს ომის წინანდელ ნორმას.

თუ ავიღებთ პურის წარმოებას, ამ დარგში ინგლისი ჩვენ გვაქვს ომის წინა დროის ნორმის 80—85 პროც., საფრ ნგეთში—83 პროც., გერმანიაში—68 პროც. მეტად ნელის ნაბიჯით იზრდება პურის წარმოება გერმანიაში, საფრანგეთში ის ერთ წერტილზეა გაყინული, ინგლისში ეცემა. დანაკლისს ფარავენ პურის ექსპორტით ამერიკიდან, ნახშირის მოლება 1925 წ. ინგლისში შეადგენს ომამდე არსებული ნორმის 90 პროც., საფრანგეთში 107 პროც., გერმანიაში 93 პროც., ფოლადის წარმოება ინგლისში შეადგენს ომამდე არსებული ნორმის 98 პროც., საფრანგეთში 102 პროც., გერმანიაში—78 პროც. **ბამბის** გადამუშავება ინგლისში [illegible] —83 პროც. გერმანიაში—81 პროც. ინგლისის საგარეო ვაჭრობას აქვს 3 სიური სალდო და აღწევს ომამდე არსებულის 94 პროც. გერმანიაში საგარეო ვაჭრობა ეკონომიაზე [illegible] 1919 წელთან შედარებით და მას აქაც აქვს პასიური სალდო, საფრანგეთში ის ამ ჟამ დ ომამდე არსებული ნორმის ზევით სდგას—102 პროც. ევროპის ვაჭრობის დონე მაღლიანად, თუ ავიღებთ 1921 წელს, შეადგენდა ომ მდე არსებული ნორმის 63 პროც. ეხლა, 1925 წელში კი მან მიაღწია იმავე ნორმ ს 82 პროცენტს. ამგვარად დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოების ეკონომიური ბაზა ამამად [illegible] ბილიზაციას, ჩვენ ისევ შეგიძლია ვსთქვათ მომხსენებლის, ამხ. სტალინის სიტყვებით, რომ ოკაპიტალის დროებითი სტაბილიზაცია, რომელსაც მიაღწია ევროპამ, არის დამპალი, დამპალ ნიადაგზე აღმოცენებული სტაბილიზაციაა. სწორედ ამიტომ ეს დამპალი სტაბილიზაცია, სტაბილიზაციი აღმოცენებული დამპალ ნიადაგზე, ალ გვაძლევს არავითარ საფუძველს ვიფიქროთ, რომ დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმი არამც თუ მიაღწევს ომამდე არსებულ ნორმას, არამ დ გასცილდება კიდეც მას და რომ ადგილი ექნება საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებს.

წინააღმდეგობანი იმპერიალისტებს შორის

ყველაფერი ის, რაც ხდება ამ ჟამად ახალშენებში და ნახევარ ახალშენებში და დასავლეთ ევროპ ს ამა თუ იმ სახელ წიფოში ამტკიცებს, რომ ამ სტაბილიზაციას ყოველ მხრიდან მოელის საფრთხე. ავიღოთ ჩინეთი, ავიღოთ ინდოეთი, ეგიპტე, სირია, მაროკკო—ყველგან თქვენ დაინახავთ დაჩაგრულ ერების თავგანწირულ ბრძ ლ და თავიანთ დაჩაგვრელების წინააღმდეგ, და რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ამ ბ ძოლაში, იმპერიალისტებ ს ყოველი ჯგუფის წინააღმდეგ მონ წილეობას იღებს იმპერიალისტების მეორე ჯგუფი. თუ თქვენ აიღებთ სირიას, ამ ჟამად დოკუმენტალურად გამოირკვა, რომ ინგლისი სირიას ებმარება ჯანყებაში საფრანგეთის წ ნააღმდეგ. თუ თქვენ აიღებთ ჩინეთს, დაინახავთ, რომ იქ იმპერიალისტების ერთი ჯგუფი დახმარებას უწევს ამა თუ იმ გენერალს იმპერიალისტების მეორე ჯგუფის წინააღმდეგ. თუ აიღებთ ეგვიპტეს, მაროკოს, ისევ დაინახავთ, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლაში ამ დაჩაგრულ ერებს მხარს უჭერენ და დახმარებას აწევდიან იმპერიალისტური სახელმწიფოების ესა თუ ის ჯგუფები, რაც გამოწვეულია ინტერესთა წინააღმდეგობით ამ სახელმწიფოებს შორის.

არც ერთს ამ იმპერიალისტურ სახელ მწიფოებიდან არ შეუძლია გულგრილად უყუროს იმას, თუ როგორ იზრდება იმპერიალისტური სახელმწიფოების მეორე ჯგუფის ძლიერება. იდგენ რა ურთიერთ შორის სხვადასხვა ხელშეკრულებებს, სხვადასხვა შეთანხმებებს, ისინი იმავე დროს ეძებენ საშუალებებს ერთი მეორეს დასახრჩობად.

წინააღმდეგობათა მთელი რიგი, რომელიც არსებობს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, ჩვენ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ და დავრწმუნდეთ კიდეც, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს არავითარი სტაბილიზაცია, რომელიც გამოიწვევდა დასავლეთ-ევროპაში კაპიტალიზმს შემდგომ განვითარებას და წინსვლას. და მომხსენებელიც პირდაპირ ამბობს: „თუ დაუესის გეგმა შესაძლებლად ხდის რევოლიუციას გერმანიაში, ლოკარნს შეუძლია ახალი ომი გამოიწვიოს ევროპაში".

აი, ამხანაგებო, 2—3 სიტყვით საერთაშორისო მდგომარეობა. მე არ ვლაპარაკობ იმ წინააღმდეგობებზე, რომლებიც არსებობენ ჩვენს ქვეყანასა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის, არ შეეჩერდები იმაზე რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მუშათა დელეგაციების ჩამოსვლას ჩვენში, რომლებიც საბჭოთა კავშირის ავტორიტეტს აწევენ და პოპულარიზაციას საქმეში უდიდეს როლს თამაშობენ.

ამხ. სტალინი, ახასიათებდა რა ამ დელეგაციების მოგზაურობას ჩვენში, ამბობდა, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლით, თავისი აგიტაციით ეს მუშათა დელეგაციები იმაწილებენ მორალურ პასუხისმგებლობას საბჭოთა კავშირისათვის.

აღნიშნული წინააღმდეგობანი, რომელთაც აღგილი აქვთ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, განსაზღვრავენ ჩვენს მდგომარეობას; სწორედ ისინი ჰქმნიან იმ წონასწორობას, რომელშაც ჩვენ მოგვცა ხანგრძლივი შესვენება და მოგვცა შესაძლებლობა ხელი მოვკიდოთ ჩვენ სახელმწიფოს მშვიდობიან აღმშენებლობისათვის.

მიუხედავათ ამისა მაინც არსებობენ დაბრკოლებანი საქმიანი მოლაპარაკებისათვის. ამ სახელმწიფოებთან, რომლებმაც ჩვენ გვიცვნეს.

მთავარ სიძნელეს წარმოადგენს მეფის მთავრობის ვალები. ეს ვალები კარგა დიდ თანხას შეადგენენ—სულ დაახლოვებით 13 მილიარდ მანეთს. ჩვენგან სურთ მიიღონ ეს მილიარდები. ჩვენც ვვაქვს კონტრპრეტენზიები, რაც შეადგენს არა ნაკლებ 20 მილიარდისა ფინანსთა სახ. კომისარიატის **გამოანგარიშებით**, და არა ნაკლებ 50 მილიარდისა ლარნინის **გამოანგარიშებით.**

შინაური მდგომარეობა

განვითარების ტემპი ჩვენი ეროვნული ხასიათი

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის შინაურ მდგომარეობას, მე უწინარეს ყოვლისა უნდა ვსთქვა იგივე, რაც ვთქვი ჩემი მოხსენების დასაწყ ისში: რომ წარსული წელიწადი იყო ჩვენი მეიწველობის და მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის გაფურჩქნის წელი. ის წარმატებანი, რომელიც ჩვენ გვქონდა სახალხო მეურნეობის დარგში, არავის, არც ბტერს და არც მოყვარეს, არ შეუძლია უარყოს. მე ზედმეტათ მიმაჩნია ციფრების მოყვანა; ციფრები გამოქვეყნებული იყო პარტიის ამიერკავკასიის ყრილობაზე და თვალ რიგ მოხსენებებში, რომლებიც ამხანაგებმა გააკეთეს ყრილობამდე მოწვეულ კონფერენციებზე და აგრეთვე ამხ. სტალინის მოხსენებაში. ამ ამხანაგებს, რომლებიც დღეშდის არ გასცნობიან ამ ციფრებს და მასალას, შეუძლიათ მიმართონ აღნიშნულ წყაროებს.

ამხ. სტალინმა, შეეხო რა ის ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდეგ განვითარებას, წამოაყენა საკითხი ორ გენერალურ ხაზის შესახებ: „არის ორი გენერალური ხაზი: ერთი გამომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ დიდანს უნდა დარჩეს აგრარულ ქვეყნად, უნდა გაიტანოს სასოფლო სამეურნეო პროდუქტები და შემოიტანოს მოწყობილობანი, რომ ამაზე უნდა ვიდგეთ და ამ გზით წავიდეთ წინ. ეს პაპი, ალბათ, ალბათ, ეროთიოვს ჩვენი ინდუსტრიის შეკუმშვას. არის მეორე კენერალური ხაზი, რომელიც ამამდინარეობა იქიდან, რომ ჩვენ ყოველ [illegible] უნდა ყოფილიყოთ, [illegible] [illegible] [illegible]

კიერებში, რომელიც ზედმიწევნით სწორი არ არის, გამოიხატა 100—105 ლ. მანეთში, აქედან საგადასახადო და დასაზღვევი შეღავათები შეადგენს დაახლოვებით 60 მილიონ მანეთს, შემდეგ მოუსავლიანობის შედეგებთან ბრძოლის ფონდიდან—24 მილიონი მანეთი. 1924 წ. მოუსავლობის დროს დახმარება გაეწია 7 მილიონ დაზარალებულს. სულ დაიხარჯა 108—110 მილიონი მანეთი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით—71 მილიონი და 38 მილიონი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და საბანკო დაწესებულებათა საშუალებებიდან. გარდა ამისა, დაარსებულია 77 მილიონიანი ფონდი გვალვასთან საბრძოლველად. ამაში გამოიხატა პროლეტარულ სახელმწიფოს დახმარება გლეხობის ღარიბ ფენებისათვის. და აქ კვლავ უნდა იქნას დაყენებული საკითხი გლეხობასთან ჩვენი პარტიის დამოკიდებულების შესახებ. როგორი იყო ჩვენი პარტიის დამოკიდებულება გლეხობასთან ჩვენი რევოლიუციის განვითარების სხვადასხვა პერიოდში.

პარტია და გლეხობა.

პირველ პერიოდში, როდესაც ჩვენ იერიშით მივდიოდით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, როდესაც ჩვენ მიგვყავდა მთელი გლეხობა მეფის წინააღმდეგ, მაშინ კულაკებიც დაინტერესებული იყვენ ამით, რათა მიელოთ მემამულეების მიწები. ამის შემდეგ ჩვენ მივიტანეთ იერიში კაპიტალისტურ საზოგადოების წინააღმდეგ ოქტომბრის რევოლიუციის დროს. მაშინ ვლად. ილიჩი გამოვიდა ლოზუნგით: „სოფლის ღარიბ გლეხობასთან ერთად მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, საშუალო გლეხობის განეიტრალებით“.

ბოლოს, როდესაც ჩვენ გავიმარჯვეთ სამოქალაქო ომში, ოქტომბრის რევოლიუცია განმტკიცა, ილიჩმა დააყენა საკითხი: „საშუალო შეძლების გლეხობასთან მჭიდრო კავშირის შესახებ სოციალიზმის ასაშენებლად“.

ამგვარად, ჩვენი დამოკიდებულება გლეხობასთან იცვლებოდა იმ პირობების მიხედვით, რომელშიაც ჩვენ გვიხდებოდა ბრძოლა. არ იქნება სწორი, თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ოქტომბრის რევოლიუციია ჩვენ მოვახდინეთ საშუალო შეძლების გლეხობასთან ერთად, მაგრამ აბსოლუტურად არ იქნება მართალი, თუ ჩვენ ვიტყვით, რომ შეიძლება სოციალიზმის დამყარება ჩვენს ქვეყანაში ამ საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირის გარეშე. სხვანაირად რომ ვსთქვათ, მხოლოდ სოფლის დაქირავებულ გლეხობასთან, ღარიბ გლეხობასთან ერთად პლიუს პროლეტარიატი, ჩვენ ვერ შევნარჩუნებთ ჩვენს სოფელს.

ჩვენ ზევით ვლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ საჭიროა ბეიღოთ გეზი მძიმე ინდუსტრიის, სამანქანო წარმოების განვითარებაზე ჩვენი ქვეყნის შიგნივ. ჩვენ დღეს არ შეგვიძლია ვიქონიოთ საზღვარგარეთელ ბაზრის იმედი. ჩვენ არ შეგვიძლია საქონლის გატანა საზღვარგარეთ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენი საქონელი ჯერ კიდევ არის ძალიან მაღალი ხარისხის, და მეორე—ძვირია. იქ საქონელი უკეთესია და უფრო იაფიც. მაშასადმე ჩვენ შეგვიძლია შემდეგი განვითარება მხოლოდ შინაური ბაზრის საფუძველზე.

უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ რუსეთის მრეწველობა წარსულში ეთარდებოდა შინაურ ბაზრის საფუძველზე და იმისდამიხედვით, თუ როგორ განვითარდება საწარმოოვ ძალები სოფლად, იმისდამიხედვით, თუ როგორი იქნება ჩვენი გლეხობის სყიდვითი უნარიანობა, დამოკიდებული იქნება ჩვენი მრეწველობის განვითარება.

საშუალო გლეხის გარეშე, რომელიც გლეხობის მცირე შეძლების და ღარიბ ნაწილთან ერთად შეადგენს გლეხობის უმრავლესობას, ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევქმნით სოფლად ისეთ: მდგომარეობას, რომლის დროსაც შესაძლო იქნება არამც თუ სოციალიზმის აშენება, არამედ სოფელში მშვიდობიანათ გავლაც კი. თქვენ გახსოვთ, რომ ამ ერთი წლის წინად ჩვენ თითქმის ყოველდღე ვკითხულობდით გაზეთებში იმის შესახებ, რომ აქ დასკერეს გლეხკორი, იქ მოჰკლეს საუთემო აღმასკომის თავმჯდომარე, ადგილი ჰქონდა გლეხების აჯანყებასაც. ეხლა უკვე გავიდა წელიწადზე მეტი ამ აჯანყების შემდეგ და ჩვენ შეგვიძლია უფრო გულდამშვიდებით ვილაპარაკოთ ამის შესახებ, და უნდა ვაღიაროთ, რომ გურიაში ჩვენ გვქონდა გლეხობის საყოველთაო აჯანყება. რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია ეს დავაბრალოთ მენშევიკებს, ვსთქვათ, რომ არამზადა მენშევიკებმა მოახდინეს აჯანყება. ეს მართალია, რომ მათ მოახდინეს აჯანყება, მაგრამ აჯანყებისათვის იყო ნიადაგი. კარგი ცხოვრების გამო, როგორც ვიცით, არავინ არ აჯანყდება; როგორც სჩანს, გლეხობა ცუდ მდგომარეობაში იყო, რახან მან დაუჯერა მენშევიკებს და აჯანყდა.

თქვენ იცით ჩვენი პარტიის გადაწყვეტილება აპრილის კონფერენციაზე ამ საკითხის შესახებ, გადაწყვეტილება, რომელიც გატარებულ იქნა საბჭოთა კავშირის საბჭოების მესამე ყრილობაზე. მასზე შეჩერება აღარ არის საჭირო. იქ აშკარად და მკაფიოდ იყო აღნიშნული, რომ საჭიროა უარის თქმა სამხედრო კომუნიზმის ყოველგვარ ნაშთებზე სოფლად. იქ აღნიშნული იყო, რომ საჭიროა იჯარის ვადის გადიდება, დაქირავებული შრომის დაშვება და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც დამშვიდებდენ სოფელს და ხელს შეუწყობდენ სოფლის საწარმოო ძალების განვითარებას.

შემდეგ, ამხანაგებო, ეს გადაწყვეტილებანი ჩამოყალიბებულ იქნა ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე. ჩვენ ვამბობდით, რომ სოფლად კულაკების ზრდის გამო საჭიროა ღარიბ ფენების ორგანიზაცია. ოქტომბრის პლენუმმა გადაწყვეტილებანი მთლიანად და საფუძვლიან გამომდინარეობენ აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან. თქვენ იცით, რომ ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების დროს თავი ინინა ორმა გადახრამ: ერთი გადახრა—გს არის კულაკის საფრთხისათვის ხელის დაფარება, ასეთი საფრთხის არ დანახვა და სოფლად კულაკის არსებობის სრულებით უარყოფა. ამ გადახრის ყველაზე უფრო მკაფიო გამომხატველია ცნობილი ბოგუშევსკი. მეორე გადახრას ადგილი აქვს იმათ მხრივ, რომელნიც კულაკის შიშმა იქამდის მიიყვანა, რომ დაიწყეს ლაპარაკი სოფლად მეორე რევოლიუციის აუცილებლობის შესახებ. ამ შეხედულების უმთავრესი გამომხატველია ამხ. ლარინი. ჩვენი პარტიის ცეკას პლენუმმა ოქტომბერში გადაჭრით უარყო ორივე გადახრა. ასეთი იყო პარტიის გადაწყვეტილება გლეხობის საკითხის შესახებ.

სოციალიზმის მშენებლობა ერთ ქვეყანაში

სიკმაო დავას იწვევს საკითხი სოციალიზმის ერთ ქვეყანაში აშენების შესახებ; ამ შემთხვევაში კონკრეტულად საკითხი ისმება ჩვენ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ლაპარაკი იმაზეა, შეგვიძლია თუ არა სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის უშუალო სახელმწიფო დახმარების გარეშე, შეგვიძლია თუ არა სოციალიზმის აშენება ჩვენი ტეხნიკური ჩამორჩენილობის პირობებში. აქ პასუხი უნდა იქნეს ასეთი. ჩვენ შეგვიძლია სოციალიზმის შენება ჩვენს ქვეყანაში, შეგვიძლია შენება წარმატებითაც, მიუხედავათ იმისა, რომ დასავლეთში სოციალისტური რევოლიუციის დაგვიანების წინაშე.

ჩვენი პარტია

გადავიდა რა პარტიის საკითხზე, მოხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენი პარტია ამეამად გაიზარდა, ჩვენი პარტიის რიგებში ითვლება 1 მილ. 25 ათასი წევრი. მოსახლეობის ყველა ფენების აქტივობის ზრდის გამო, თავისთავად ცხადია, პირველ რიგში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაიზარდოს თვით პარტიის აქტივობა. ჩვენ, ამხანაგებო, არა ერთიელ გვითქვამს, რომ ჩვენ ვერ დავსძლევთ იმ ბედიდეს ამოცანებს, რომლებიც სდგას ჩვენს წინაშე, თუ ჩვენი პარტიის საფუძველი—უჯრედი, არ მიუდგება. ყველა საკითხებს სრული შეგნებით და მომზადებით. თქვენ ვერ გაუწევთ ხელმძღვანელობას ვერც ერთ კოოპერაციას, ვერც ერთ საბჭოს თუ უჯრედი არ იქნება გაცნობილი ჩვენი ქვეყნის საშეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებასთან, უმთავრესად იმ რაიონთან, იმ დარგთან, რომელშიაც ის მუშაობს.

აქვე ისმება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წავიდეს შემდეგში პარტიის ზრდა. მე აქ მოვიხსენიებ ერთ წინადადებას, რომელიც შემოიტანა ამხ. სარქისმა პარტიის მეთოთხმეტე ყრილობაზე. ამ წინადადების თანახმად ჩვენ პარტიაში უნდა გვყავდეს 90 პროც. დაზგასთან მდგომი მუშები. ჩვენ ეს წინადადება თავიდანვე ველურად მოგვეჩვენა და როცა გამოვითვალეთ, გამოიოკვა, რომ ამბ. სარქისის სურვილის განსახორციელებლად ჩვენს პარტიაში მეთოთხმეტე ყრილობიდან მეთუთხმეტემდე უნდა მივიღოთ 4 მილ. დაზგასთან მდგომი მუშა.

აი მოკლედ და საერთო ხაზების მიხედვით ამხ. სტალინის მოხსენების შინაარსი. მე ვლაპარაკობ საერთო ხაზების მიხედვით, რადგან ეს მეტად საინტერესო მოხსენება გაგრძელდა 5 საათს და მე, რასაკვირველია, არ ვფიქრობ ამის გადმოცემას რაღაც 40 წუთის განმავლობაში.

დისკუსიის ისტორია

ამხ. სტალინის მოხსენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა თანამოხსენება, თანამომხსენებლად გამოვიდა ამხ. ზინოვიევი—პოლიტბიუროს წევრი, კომინტერნის თავმჯდომარე.

თქვენ კარგად იცით, რომ წარსული დისკუსია ტროცკის წინააღმდეგ ჩვენ ჩავატარეთ ლენინიზმისათვის ბრძოლის ნიშნის ქვეშ, ამხ. ტროცკის მიერ ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ, ხოლო ტროცკის წინააღმდეგ გამოდიოდენ უმთავრესად ლენინის უახლოესი მოწაფეები: სტალინი, ზინოვიევი, კამენევი, უმთავრესად ეს სამეული. ამ სახით სწარმოებდა ბრძოლა ტროცკის წინააღმდეგ, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ჯერ კიდევ მეთორმეტე ყრილობის შემდეგ უეცრად გამოირკვა, რომ ამ სამეულში ყველაფერი რიგზე არ არის მაშინ, ამხანაგებო, არ ყოფილა არავითარი ლაპარაკი არც კულაკის საფრთხეზე, არც იმაზე, რომ პარტია ფიქრობს შესცვალოს ლენინიზმი ბუხარინიზმით, არც იმაზე, რომ პარტია ასცდა ლენინურ გზას და გადავიდა სულ სხვა გზაზე, მაგალითად, ამბ. ბოგუშევსკის გზაზე. არც ბოგუშევსკის არავინ იცნობდა. სამწუხაროდ ის გაიცნეს შარლან ზაფხულში. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ მაშინვე შევეცადეთ, და ყოველ შემთხვევაში დროებით, უნაყოფოთ არ ჩაეგლია ჩვენ ცდას, არ დაგვეშვა უთანხმოება ამ ამხანაგებს შორის.

სანამ მე გადავიდოდე ამხ. ზინოვიევის თანამოხსენებაზე, თქვენ უნდა გაგაცნოთ ქრონოლოგიური წესით. როგორ ვითარდებოდენ ეს ამბები.

23 წლის ზაფხულში კისლოვოდსკში გამართულ თათბირზე დაისვა საკითხი, როგორ უნდა უხელმძღვანელოთ პარტიას უილიჩოთ. ილიჩი კიდევ ცოცხალი იყო, იყო იმედი, რომ ის კიდევ დაუბრუნდებოდა მუშაობას და საკითხი დასვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუწიოთ ხელმძღვანელობა პარტიას. ილიჩის გამოუჯანმრთელობამდე რამოდენიმე დღის, 3—4 თუ კიდევ მეტი დღის შემდეგ მოვიდეთ გავლით კისლოვოდსკში. იქ მე შეეხვედი ამხ. ზინოვიევს, ბუხარინს, ლაშევიჩს და მათ მიამბეს მე ამ თათბირის შესახებ. თქვენ უკვე იცით, რომ ამ თათბირს დაესწრენ ზინოვიევი, ბუხარინი, ვოროშილოვი, ევდოკიმოვი, ლაშევიჩი და, მგონი, ზალუკაევი. ამხ. ფრუნზე იქ არ ყოფილა, ის იყო ყირიმში ავადმყოფობის გამო.

ეს ის, ამ თათბირზე პირველად დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ ლენინის შეცვლა არავის არ შეუძლია და ამიტომ უნდა შეიქმნეს ისეთი კოლექტივი, რომელიც იკისრებდა პარტიის ხელმძღვანელობას.

ამ თათბირზე, ამხანაგებო (მე (დანამდვილებით არ ვიცი ვისი გეგმა იყო ეს; ზინოვიევი ამტკიცებდა, რომ ეს იყო ბუხარინის გეგმა), იყო ლაპარაკი ასეთი კოლექტივის შექმნის გარშემო. მათ აუცილებლად მიაჩნდათ პოლიტიკური ფუნქციების მინიჭება სამდივნოსათვის, რომელსაც სათავეში ედგა და ეხლაც უდგას სტალინი. ისინი ამბობდენ: „ლენინის დროს სამდივნო, ვინც არ უნდა ყოფილიყო მასში, წარმოადგენდა პოლიტბიუროს დაშმარე ტეხნიკურ ორგანოს. პოლიტბიუროს სწყვეტდა ყველაფერს, სამდივნო კი ცხოვრებაში ატარებდა“. ეხლა, [illegible] ილიჩი აღარ გვყავს და როცა პოლიტბიუროს ერთ-ერთი მეტად გავლენიანი წევრი გახდა ცეკას მდივანად, ის არას უკვე არა ტეხნიკური მდივანი, არამედ მდივანი, რომელიც ნაწილობრივ წარსულს სწყვეტს პოლიტბიუროს კითხვებს, მიუთითებდენ იმაზე, რომ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უმჯობესია ავამაგროთ ეს მდივანი პოლიტბიუროს კიდევ ორი წევრით. სამდივნო სამეული სტალინის, ზინოვიევის, ტროცკის ან სტალინის, ტროცკის, ბუხარინის ან კამენევისაგან. ეს იყო, ამხანაგებო, 23 წელს ზაფხულში. შემდეგ ჩვენ ვილაპარაკებთ კიდევ ტროცკიზე, როცა უკვე ბრძოლა გაჩაღდა მისი სახელის გარშემო, ეხლა კი მე ხაზს გაუსვამ იმას, რომ ამბ. ზინოვიევი 23 წლის ზაფხულში არა თუ შესაძლებლად, არამედ აუცილებლად სთვლიდა ამბ. ტროცკის აჩაჩვას ცეკას მდივნად სტალინთან და მასთან ერთად. ამ თათბირზე ამ გეგმის წინააღმდეგ გამოვიდენ მაშინ ვოროშილოვი და ევდოკიმოვი, რომლებიც მიუთითებდენ იმაზე, რომ საეჭვოა მოხერხდეს შეთანხმებული მუშაობა ტროცკისთან. ამბ. სტალინი ასეთ ბლოკს სთვლიდა უპრინციპოდ და აღიარებდა, რომ ამბ. ტროცკისთან ვერ გავაკეთებთ საქმესო. ხოლო, თუ ამხანაგები ფიქრობენ, რომ ეს მიზანშეწონილია და სასარგებლოა პარტიის ინტერესებისათვის, ის ამის ყრილობამდე არაფერს იტყვის, მაგრამ თვითონ არ შეავა სამდივნოში. ეს იყო პირველი უთანხმოება, რომელიც მოხდა ამხანაგების ამ ჯგუფში, და მას მაშინ სავსებით ჰქონდა ორგანიზაციული ხასიათი. არც კულაკი, არც ღარიბი გლეხი, არც ბოგუშევსკი მაშინ კიდევ არ იყო. ამის შემდეგ გაჩაღდა დისკუსია ტროცკისთან. პირველი დისკუსია იყო 23 წლის შემოდგომაზე, გერმანიის რევოლიუციის დამარცხების და ჩვენი სამეურნეო კრიზისის შემდეგ. ამ დისკუსიაზე მე არ შეეჭიდები. თქვენ გახსოვთ როგორი იყო მაშინ ჩვენი და ჩვენი მოწინააღმდეგეების პოზიცია. ამ დისკუსიამ თითქოს შეაკავშირა ჩვენი ამხანაგები ერთ, რასაკვირველია, არაავთარი ლაპარაკი ამბ. ტროცკის ცეკას სამდივნოში შეყვანის შესახებ არ აღძრულა. მე-XIII-ე ყრილობა ჩვენ ჩავატარეთ უჩხუბრად.

ამ უთანხმოებათა შემდეგი ეტაპია გასული წლის ზაფხული. ტროცკისთან მეორედ გამართულ დისკუსიის შემდეგ, როცა ატმოსფერა ძალიან გაჯერებული იყო, ამხანაგების ერთმა ჯგუფმა: ზინოვიევმა, კამენევმა, სოკოლნიკოვმა და მათთან ერთად ცეკას ლენინგრადელმა წევრებმა დასვეს საკითხი, რომ ტროცკისთან გამართულ კამათიდან გამოტანილი ყოფილიყო ორგანიზაციული დასკვნები, და ამასთან ამ ორგანიზაციულ დასკვნებში ისინი მივიდენ იქამდე, რომ ლენინგრადის ერთ-ერთმა რაიონულმა კონფერენციამ ეამბიტანა გადაწყვეტილება ტროცკის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. ჩვენ ამის წინააღმდეგი ვიყავით და გადაეჩით განვაცხადეთ: ტროცკი ჩვენ ვამოვასწორეთ, ტროცკიმ დაუშვა შეცდომა, ჩვენ მოუწოდეთ მას წესრიგისაკენ, მისი შეცდომები გავაშუქეთ, მაგრამ იმაზე, რომ ის გამორიცხულ იქნეს პარტიიდან, ჩვენ ვერ დავთანხმდებით.

მაშინ ჩვენს წინაშე დაიყენეს საკითხი პოლიტბიუროდან ტროცკის გამორიცხვის შესახებ. მაშ რატომ სთქვით, რომ ტროცკი არ არის ლენინის მემდეგარი, ის არის ნახევრად მენშევიკი და მენშევიკიც კი და ამის შემდეგ დასტოვეთ ის ჩვენ ხელმძღვანელ შტაბში; სად არის აქ ზრი, სად არის თანაბიმდევრობა, ლოგიკა. შესაძლებელია, რომ ფორმალური ლოგიკა აქ არ ყოფილა, მაგრამ ჩვენ გიპასუხეთ, რომ პოლიტბიუროდან ტროცკის დათხოვნას ჩვენ არ ვეთანხმებოდით. წარსული წლის ოქტომბერში, როდესაც ჩვენ ჩავედით პლენუმზე, ენახეთ ოთხის განცხადება, ერთგვარი პლატფორმის სახით, რომელსაც ხელს აწერდენ ამხხ. ზინოვიევი, კამენევი, სოკოლნიკოვი და მიემატა კიდევ ნადეჟდა კონსტანტინ. კრუპსკაია. ცეკას 3 წევრის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ამ განცხადებაში ცეკას უმრავლესობას ბრალს სდებდენ პირველი ამაში, რომ მე-14-ე პარტკოფერენციის გადაწყვეტილებები არა სწორადაა განმარტებული, რომ კულაკური საფრთხე დიდია და პარტია ვერ ხედავს ამ კულაკურ საფრთხეს, რომ ბუხარინი გამოვიდა ლოზუნგით: „გამდიდრდით“, რაც უდრის სტრუვიზმს. ეს სიტყვა, „გამდიდრდით“, სრულიად შეცდომით იყო ნათქვამი ჯერ კიდევ აპრილის კონფერენციამდე. ჩვენ ვფიქრობდით რომ ეს არ ვიგრა, რომ ეს არ არის სწორი, მაგრამ არავის არ დაუყენებია საკითხი ისე, რომ ამით მთელი მსოფლიო გადაყირავე უებოდა. მეორე ბრალდება—რომ ბოგუშევსკიმ „ბოლშევიკ“-ში მოათავსა წერილი იმის შესახებ, რომ კულაკი არ არსებობს, რომ კულაკი საფრთხოზელია და ამ წერილს თანდართული არ ჰქონდა შენიშვნები და განმარტებები. მეოთხე ბრალდება, რომ „კრასნაია ნოვ“-ში, რომელიც გამოვიდა წარსული წლის მაისში, დაბეჭდილი იყო ამბ. ბუხარინის წერილი იმის შესახებ, რომ ის ორ საკითხში არ ეთანხმებოდა ლენინს ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში და ეხლაც არ ეთანხმება მას. ეს არის პროლეტარულ კულტურის და სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხები. და. მეოთხე კი უკვე შეგვეხებოდა ჩვენ ამიერ-კავკასიელებს, შეეხებოდა იმას, რომ ჩვენს წრეში არიან ამხანაგები, რომელნიც ქადაგებენ მიწის დენაციონალიზაციას. ორიოდე სიტყვა უკანასკნელთა შესახებ აქ იყო საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის და სახ. კომისართა საბჭოს კომისია იმ დროს, როცა მოწვეული იყო ამიერ-კავკასიის თათბირი პრაქტიკულ ღონისძიებათა შესაშუშავებლად აპრილის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის. ადგილი ჰქონდა საკითხების შემცდარ ჩამოყალიბებას, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ და ჩვენ მაშინვე ვანვაცხადეთ ამის შესახებ. ჩვენ ყველამ ერთმანეთს წორეთ ეს შეცდომა და ამ პროექტს არ მოჰყოლია არავითარი პრაქტიკული შედეგი.

განვიხილეთ რა ყველა ეს განცხადებები და კონტრ-განცხადებები, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ არსებული უთანხმოებანი შეიძლება დაძლეულ იქნენ ცეკას შიგნით და არ არის საჭირო დისკუსიის ვახსნა ამ საკითხის შესახებ ყრილობის წინ. ამბ. ბუხარინი ჩვენ იძულებული გვიხადეთ უკანვე წაეღო მის მიერ გადმოსროლილი სიტყვა „გამდიდრდით“, ბოგუშევსკის მოვცხეთ, როგორც საჭირო იყო და ოქტომბრის პლენუმზე ღარიბ და მცირე შეძლების გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხში ერთხმად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომელსაც თქვენ იცნობთ ამბ. მოლოტოვის მოხსენებიდან. იქვე გადაწყვეტილ იქნა არ გაგვეხსნა დისკუსია.

საერთოდ, ამხანაგებო, დისკუსია მმართველი პარტიისათვის არ არის ისეთი ადვილი საქმე. სულ სხვაა დისკუსია პარტიაში, როცა ის ოპოზიციაში სდგას და მუშაობს არალეგალურად და მაშინ, როცა პარტია ხელისუფლების სათავეში სდგას, განსაკუთრებით ჩვენთან, პროლეტარიატის დიქტატურის დროს. მმართველი პარტიის მთლიანობას არაუვს ყოველგვარი დისკუსია. არ არის ყოველთვის მართალი, რომ დისკუსიის შემდეგ პარტია უფრო ძლიერი ხდება. მართალია დისკუსიის შემდეგ მთელი რიგი საკითხებია ისმის უფრო ნათლად, უფრო გარკვევით, მაგრამ ყოველგვარი დისკუსია ჩვენთან, ბოლშევიკურ წრეში (ასეთია ჩვენი ბუნება) თავიდან ამითა რომ ამხანაგების ნაწილი გარიყული რჩება, ილიჩას შემდეგ კი ყოველი მუშაკი უაღრესად ძვირფასია ჩვენთვის. ვიცოდით რა, რომ ეს დისკუსია გამოიწვევდა ზოგიერთ ამხანაგებისათვის სახელის გატეხას, ჩვენ ვეყავით დისკუსიის წინააღმდეგი ყრილობის წინ, ყრილობის განსამდე, რაღაც ორი თუ სამი დღით ადრე, ჩვენ მივიღეთ ყოველგვარი ზომები, რათა არ გაგვეხსნა დისკუსია ყრილობაზე. ეს იყო უკანასკნელად 15 რიცხვში, ხოლო 18-ში გაიხსნა ყრილობა. ოქტომბერში ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ არ გაგვეხსნა არავითარი დისკუსია და ყრილობაზე გამოვსულიყავით მთლიანი ფრონტით. როცა მივიღეთ მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენციის რეზოლიუცია, ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ იწყება დისკუსია და დარღვეულია პარტიის გადაწყვეტილება. ჩვენთვის საინტერესო იყო, ვინ დაარღვია ეს გადაწყვეტილება, მოსკოვმა თუ ლენინგრადმა. ამ საკითხის კეთილსინდისიერად შესწავლის შემდეგ ჩვენ მივდგარართ შემდეგ დასკვნამდე: მიიღეს რა ჩვენთან ერთად გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ არ ყოფილიყო გახსნილი დისკუსია, ლენინგრადელი ამხანაგები დაბრუნდენ ლენინგრადში და დაიწყეს ამ დისკუსიის მომზადება და უნდა ითქვას, რომ დისკუსია მზადდებოდა ფარულად. მაგალითად, ლენინგრადის კონფერენციაზე ადგილი ჰქონდა ცალკე გამოსვლებს, რომელთა შორის ყველაზე მკაფიო იყო ამხ. ბოგდანოვის გამოსვლა. ის აშკარად და ნათლად ხედავდა რაზედ აშენებდა თავის გამოსვლას. ის არ მოქცულა ისე, რომ შუბლით იერიში მიეტანა ცეკას ენინაღმდეგ, მან დაიწყო იქიდან, რომ ცეკამ ბევრი გაკეთა, მაგრამ ესა და ეს არ გაუკეთებია და ბოლოს ისე გამოდიოდა, რომ მას არაფერი არ გაუკეთებია. (სიცილი).

ამხ. სარქისი პირდაპირ გამოვიდა კონფერენციაზე და განაცხადა: რატომ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ ბუნდოვანათ, სთქვათ პირდაპირ—აი ბუხარინი და შეუტიოთ ბუხარინსო. გამოვიდენ სხვებიც სამხედრო მუშაკები, ისინიც ლაპარაკობდენ სისულელეს და ყველაფერი ეს ქმნიდა ცეკას საწინააღმდეგო ატმოსფერას. იქნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილება სწორია, მაგრამ ეს გადაწყვეტილება არ ტარდება ცხოვრებაში, მას ამახინჯებენ და, ამგვარად, პარტია სცდება ლენინურ ლინიიდაგს და რომ ლენინგრადის პროლეტარიატმა, რომელიც ყოველთვის ძლიერი იყო ლენინური სულით, უნდა გადაარჩინოს პარტიაო. აი ასეთ განწყობილებას ქმნიდა თანდათანობით ლენინგრადის ორგანიზაცია. მიუხედავათ ამისა, ვერავინ ვერ გაბედა ამ კონფერენციაზე შემოეტანა წინადადება ცეკასთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. საგუბერნიო კონფერენციაზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც სავსებით და მთლიანად იწონებდა ცეკას როგორც პოლიტიკურ და საორგანიზაციო ხაზს, ისე მთელ მის მუშაობას.

როცა ლენინგრადში თავი იჩინა ასეთი სასის გამოსვლებმა, მოსკოვი თავის მხრივ პირდაპირ დადგა ცეკას მხარეზე და მაგრად შეუტია ლენინგრადის ორგანიზაციის ზედაფენებს.

შემდეგ, ყრილობის წინაშე დაისვა საკითხი, შეიძლება თუ არა როგორმე დისკუსიის თავიდან აცდენა თვით ყრილობაზე. ჩვენ ვფიქრობდით, რომ შეიძლება და საჭიროც არის. მთავარია ის, რომ ეს იყო აუცილებელი. მაშინ ამხ. ზინოვიევს, კამენევს, სოკოლნიკოვს და ლენინგრადის მთელს დელეგაციას ვაიგზავნა მიმართვა, რომელსაც ხელს აწერდენ კალინინი, სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, რუდუტაკი, მოლოტოვი, ძერჟინსკი, შემდეგ მათ ხელისმოწერას შეუერთდენ ცეკას თითქმის ყველა წევრები, გარდა ლენინგრადელებისა. მიმართვაში ნათქვამი იყო შემდეგი:

„ქვემოდ ხელისმომწერნი ცეკას წევრები ფიქრობენ, რომ მხადებას პარტიული ყრილობისათვის ლენინგრადის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ამხანაგების მთელი რიგი აწარმოებდა პარტიის ცეკას ხაზის და ამ ხაზის მოპირდაპირეს წინააღმდეგ ლენინგრადში. ქვემოდ ხელისმომწერნი ცეკას წევრები სავსებით სწორად სთვლიან მოსკოვის კონფერენციის რეზოლიუციას როგორც შინაარსით, ისე ფორმით, და ფიქრობენ, რომ ცეკა ვალდებულია წინააღმდეგობა გაუწიოს ყველა და ყოველგვარ ტენდენციებს რომლებიც მიმართული არიან პარტიული ხაზის წინააღმდეგ და შლიან პარტიას. მაგრამ პარტიის მთლიანობის, პარტიის შიგნით მშვიდობიანობის დაცვის გულისთვის, რომ თავიდან იქნეს აცდენილი პარტიის, ცეკასაგან ლენინგრადის ორგანიზაციის, რ. კ. პ. ერთ ერთ საუკეთესო ორგანიზაციის, გამოჯვნა, ქვემოდ ხელისმომწერთ შესაძლებელად მიჩნიათ მთელ რიგ დაბრკოლებებზე წასვლა, როცა ყრილობა განაცხადებს ცეკას სწორ და ნათელ პოლიტიკურ ხაზს. ამის გამო ჩვენ შემოგვაქვს შემდეგი წინადადებები:

1. ცეკას ანგარიშის გამო რეზოლიუციის შედგენის დროს მიღებულ იქნეს საფუძვლად მოსკოვის კონფერენციის რეზოლიუცია, შერბილებულ იქნეს ცალკე ადგილები.

2. ლენინგრადის კონფერენციის წერილის და ამ წერილზე მოსკოვის კომიტეტის პასუხის ბეჭდვა, როგორც ვაბეჭდეთ, ისე ბიულეტენებში ჩათვალოს მიზანშეწონლად მთლიანობის ინტერესებისათვის.

3. პოლიტბიუროს წევრები არ გამოვიდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ ყრილობაზე.

4. სიტყვებში ყრილობაზე გაიმიჯნონ სარქისისაგან (პარტიის შემადგენლობის მოწესრიგება) და საფაროვისაგან (სახელმწიფო კაპიტალიზმი).

5. შეცდომა კომაროვის, ლობოვის და მოსკვინის შესახებ გამოსწორებულ იქნეს ორგანიზაციულად.

6. ცეკას გადაწყვეტილება ცეკას სამდივნოში ლენინგრადელის შეყვანის შესახებ განხორციელებულ იქნეს დაუყოვნებლივ ყრილობის შემდეგ.

7. ცენტრალურ ორგანოსთან კავშირის გასაძლიერებლად ცენტრალურ ორგანოს სარედაქციო კოლეგიაში ჩრიცხულ იქნეს ერთი მუშაკი ლენინგრადიდან.

8. რადგან „ლენინგრადსკაია პრავდა“-ს რედაქტორი (ამბ. გლადნოვი) სუსტია, საჭიროდ იქნეს ცნობილი მისი შეცვლა უფრო ძლიერი ამხანაგით ცეკასთან შეთანხმებით“.

ამხანაგებო, ეს წინადადება შესდგება შესავალ ნაწილისა და კონკრეტულ წინადადებებისაგან, შესავალი ნაწილი არ იყო სავალდებულო მათთვის, ხოლო პრაქტიკული წინადადებები მისაღები იყო.

რა არის ნათქვამი ამ წინადადებებში? პირველი მუხლი ლაპარაკობს, რომ ცეკას ანგარიშის გამო რეზოლიუციის შედგენის დროს მოსკოვის რეზოლიუცია მიღებულ იქნეს საფუძვლად, შერბილებული იქნეს ცალკე ადგილები. იქ იყო ნახმარი, მაგალითად, ასეთი სიტყვები: „ჟაქსელროდოვჩინა“, „ლიკვიდატორობა“ და სხვ. აქ ჩვენ ვლაპარაკობდით არა იმაზე, რომ ეს რეზოლიუცია მიღებული იქნეს საფუძვლად ყრილობაზე, არამედ მხოლოდ კომისიაში, რომელსაც დაკისრებული ექნებოდა რეზოლიუციის შედგენა. აქასთან ერთად კამენევმა პირდაპირ განაცხადა: „თუ ამ რეზოლიუციიდან გამორიცხული იქნება 8—10 სტრიქონი, ის სავსებით ხელს მოაწერდა მას“.

შემდეგ ლენინგრადელებმა მისწერეს პოლემიკური წერილი მოსკოვის ორგანიზაციას, მოსკოვის ორგანიზაციამაც უპასუხა წერილითვე. ჩვენ მოვითხოვეთ არ დაბეჭდილიყო არც ერთი და არც მეორე წერილი, ორივე არქივისათვის ჩაგვებარებია, რომ არ გამჟღავნებულიყო დამოკიდებულება; პოლიტბიუროს წევრები ყრილობაზე არ გამოსულიყვნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. ყრილობაზე გამოჯვნა სარქისისა და საფაროვისაგან, ჩვენ არ მოვითხოვდით, რომ ისინი თვითონ გამოსულიყვნენ მათ წინააღმდეგ.

ჩვენ ვლაპარაკობდით, რომ თვითონ ჩვენ გამოვალთ და გავემიჯნეთ. ამასთანავე, როდესაც ერთი კვირის შემდეგ მე მომიხდა ლენინგრადში ყოფნა, ლენინგრადის ორგანიზაციის ყოფილმა პასუხისმგებელმა მდივანმა, ამხ. ევდ

ფიქრობენ ასე, რომ თუ მივარტყამთ მაგარ მეჯლუგუნს კულაკს, თუ გავატეხეთ მას, იმით სოციალური რევოლიუციის საქმე გადარჩენილი იქნება. ამიტომ მათთვის განაცხადია სტალინის განცხადება, რომ მთავარი იერიშები უნდა მივმართოთ მემარცხენე გადახრაზე და რომ ის იერიშებს ნიმართავს კიდეც არა ბოგუშევსკის, არამედ მემარცხენეთა წინააღმდეგ. რაშია აქ საქმე?

რითი გვემუქრება ჩვენ ეს ორივე გადახრა? მარცხნივ გადახრა გვემუქრება სოფლად ჩვენი პოლიტიკის ჩაშლით. მას მივყევართ სამხედრო კომუნიზმის მეთოდებისაკენ. მარცხნივ გადახრას მივყევართ ჩვენ იქითკენ, რომ ძალით ვიმოქმედოთ კულაკების წინააღმდეგ (раскулачивание) ძველი მეთოდების მიხედვით. მარცხნივ გადახრა გულისხმობს, რომ სოფლად საჭირო ახალი რევოლიუცია. მარცხნივ გადახრა გვემუქრება ჩვენ სოფლად სამოქალაქო ომის გამოწვევით, საწარმოვო ძალთა ნგრევით, მარცხნივ გადახრა გვემუქრება ჩვენ სოფლად ჩვენი პოლიტიკის, მთელი ჩვენი კავშირის, საბჭოთა ძალაუფლების ჩაშლით.

რითი გვემუქრება მარჯვნივ გადახრა? იმითვე. მარჯვნივ გადახრა მოახდენს ჩვენს განიარაღებას კულაკურ საფრთხის ზრდის წინაშე, პარტიის განიარაღებას სოფლის ბურჟუაზიის გაძლიერების წინაშე, მარჯვნივ გადახრას სურს ქედი მოგვახრევინოს ჩვენ ამ კულაკის წინაშე. თუ გავიგევთ ამ მარჯვნივ გადახრას, ჩვენ აღმოვჩნდებით კაპიტალიზმის ხელში. ერთი გადახრა ჩვენ გვაგდებს კაპიტალიზმის ხელში სამოქალაქო ომის საშუალებით, მეორე კი მიგვათრევს ჩვენ ამ კაპიტალიზმთან. ბოლო ერთი და იგივეა.

მაგრამ, როგორ აყენებდა საკითხს სტალინი. რომელი გადახრის წინააღმდეგ საბრძოლველად უფრო მომზადებულია პარტია? იგი უფრო მომზადებულია მარჯვნივ გადახრის წინააღმდეგ საბრძოლველად. რადგან

სოკოლნიკოვის გამოსვლა

შემოუვ ამბ. სოკოლნიკოვი.

რა სთქვა მან?

ის ასე ახასიათებს სახელმწიფო კაპიტალიზმს: „ჩვენი საგარეო ვაჭრობა წარმოადგენს სახელმწიფო კაპიტალისტურ წარმოებას... ჩვენი საშინაო სავაჭრო საზოგადოებებიც—სახელმწიფო კაპიტალისტური წარმოებანია. მე უნდა ვსთქვა, ამხანაგებო, რომ სახელმწიფო ბანკი წარმოადგენს აგრეთვე სახელმწიფო-კაპიტალისტურ წარმოებას. ჩვენი ფულის სისტემა დამყარებულია იმაზე, რომ საბჭოთა მეურნეობაში, სოციალიზმის მშენებლობის პირობებში აღებულია ფულის სისტემა, რომელიც გამსჭვალულია კაპიტალისტური ეკონომიის პრინციპებით“.

ის ადამიანები, რომლებიც ბრალს გვდებენ ჩვენ შემარჯვენეობაში, გამოდიან და გველაპარაკებიან, რომ ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლია წარმოადგენს სახელმწიფო კაპიტალიზმს. ჩვენი სავაჭრო საზოგადოებები—ჩვენი სახელმწიფო ვაჭრობა—ესეც სახელმწიფო კაპიტალისტური დაწესებულებებია სახელმწიფო ბანკიც თურმე სახელმწიფო კაპიტალიზმი ყოფილა, ფულის სისტემაც აგრეთვე. როგორ ახასიათებს ვლ. ილიჩი სახელმწიფო ბანკს. ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლიუციამდე სწერდა: „დიდი ბანკები წარმოადგენენ იმ სახელმწიფოებრივ აპარატს, რომელიც საჭიროა ჩვენთვის, სოციალიზმის განხორციელებისათვის და რომელსაც ჩვენ ვიღებთ მზა-მზარეულს კაპიტალიზმიდან, ამასთანავე ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ჩამოვჭრათ ის, რაც კაპიტალისტურად ამახინჯებს ამ წარჩინებულ აპარატს, გაეხადოთ იგი კიდევ უფრო დიდი, კიდევ უფრო დემოკრატიული, ყოვლის შემცველი. რაოდენობა გადაიქცევა ხარისხად. ერთიანი, ყველაზე უდიდესი სახელმწიფო ბანკი განყოფილებებით თვითეული „ვოლოსტში“, თვითეული ფაბრიკაში—ეს უკვე არის სოციალისტური აპარატის ცხრა მეათედი. ეს არის საერთო სახელმწიფოებრივი ანგარიშწარმოება, პროდუქტების დაბრიდების და განაწილების საერთო სახელმწიფოებრივი აღრიცხვა, ეს არის, ასე ვსთქვათ, სოციალისტური საზოგადოების ერთგვარი ჩონჩხი“.

აი რას ამბობდა ის. განა ეს წაგავს სოკოლნიკოვის განმარტებას?

როგორც თანამმხსენებელს, ისე ამ ორატორებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ მათ, არაფერი ახალი არ უთქვამთ. ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაბედა განეცხადებინა, რომ ცეკას ხახი შემცდარია, რომ ამ ხაზის წინააღმდეგ ისინი აყენებენ თავის ხაზს. ხოლო, როცა საქმე მიდგა საკითხის გადაწყვეტაზე—იწონებს ყრილობა ცეკას შუმაობას თუ არა, ლენინგრადის დელეგაციამ, მიუხედავად თავისი დაპირებისა და ლენინგრადის საგუბერნიო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებისა, ხმა მისცა ცეკას შუაობის მოწონების წინააღმდეგ.

თვითეულმა ჩვენმა ამხანაგთაგანმა მშვენივრად იცის, რომ თუ ხვალ საჭირო იქნება კულაკის გამათრეხება, ის წავა და ლაზათიანად შეინჯღრევს მას. ამას ყოველი ჩვენგანი ჩაიდენს, ყველამ იცის ეს, რადგან ბოლშევიკის ბუნებაში ჩაქსოვილია, რომ ყოველ ბურჟუას უნდა ურტყა. მაგრამ, აი, შენ გაიგე ახალი პირობები, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, იმუშავე ახალი მეთოდით სოფელში, რათა ერთის მხრივ არ დაიქაქანონ სოფლად საწარმოო ძალები, არ ჩამოგვშორდეს საშუალო გლეხობა, არ მივიყვანოთ საქმე სამოქალაქო ომამდე სოფლად, ხოლო მეორეს მხრივ ავლანსაცნელ დღემდე ხმას აძლევდეს ერთად, არ ჰქონია ადგილი არავითარ დაბნევას, არავითარ შეცდომას კენჭის ყრის დროს და ყოველთვის ეს დელეგაცია ყრილობაზე აცხადებდა, რომ ის სავსებით გამოხატავს მთელი ლენინგრადის ორგანიზაციის სულიერ განწყობილებას ხოლო ლენინგრადის ორგანიზაცია, ამხანაგებო, ეს არის ასი ათასი წევრიანი ორგანიზაცია. ლენინგრადის ორგანიზაცია, უსათუოდ, წარმოადგენს ჩვენს ერთ-ერთ საუკეთესო ორგანიზაციას. ყოველგვარი მოვლენის და მძიმე მომენტების დროს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში—ის ყოველთვის ცეკასთან იყო. ტროცკისთან დისკუსიის დროსაც და წინადაც, პროფკავშირების შესახებ გამართულ დისკუსიის დროსაც ლენინგრადის ორგანიზაცია გამოდიოდა ერთსულოვნად. ჩვენ მუდამ ვხედავდით ლენინგრადის ორგანიზაციას ჩვენი ყრილობების ხელმძღვანელად. მე-14-ე ყრილობაზე მან თავისი საქციელით სავსებით გარიყა თავისი თავი. რატომ მოხდა ეს? ისინი ამას ხსნიან მით, რომ თითქოს ყრილობა მომზადებული იყო ლენინგრადის ორგანიზაციის წინააღმდეგ. ეს არ არის მართალი რომელიმე თქვენთაგანს პარტიის ყრილობის წინ თუნდაც ერთი სიტყვა გაუგონია ლენინგრადის ორგანიზაციის შესახებ.

რასაკვირველია, არა. უსასინებდა ვინმე ლენინგრადის ორგანიზაციას? რასაკვირველია, არა. რომელიმე ჩვენ ამხანაგს მოუხდა ლენინგრადის ორგანიზაციის წინააღმდეგ გამოსვლა? რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ყრილობაზე ყველა დელეგაციები ჩამოვიდენ იმ რწმენით, რომ ჩვენ მივდივართ წინ, რომ პარტიაში საქმე არ არის ცუდათ. არსებობს სიძნელენი, მაგრამ პარტია შესძლებს მათ დაძლევას. ყველას ეგონა, რომ პარტიაში მეფობს სრული მთლიანობა, მაგრამ ეს არ გამართლდა. ლენინგრადის დელეგაციამ პირველ დღიდანვე დაიჭირა განსაკუთრებული პოზიცია და ყრილობამ იგრძნო განხეთქილების საფრთხე იმ დროს, როცა პარტიას სურს მთლიანობა ყოველ მიზეზის გარეშე. აი ეს იყო იმის მიზეზი, რომ ლენინგრადის დელეგაცია განმარტოებული დარჩა. ცეკას ანგარიშის გარშემო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მეორე დღესვე, ლენინგრადელი ამხანაგები დაბრუნდენ ლენინგრადში და დაიწყეს რეზოლიუციების გამოტანა ყველა რაიონებში იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია მთლიანად და სავსებით ეთანხმება თავის დელეგაციას. ჩვენი პარტიის ისტორიაში ვერ ნახავთ სხვა ასეთ მაგალითს. გადაწყვეტილების მიღებამდე შეიძლება კამათი, საკითხის განხილვა და სხვ., მაგრამ იმის შემდეგ, რაც გადაწყვეტილება მიღებულია, უნდა შეწყდეს ყოველგვარი დავა, და კეთილსინდისიერათ უნდა იქნეს ცხოვრებაში გატარებული მიღებული გადაწყვეტილებანი. ამ შემთხვევაში ასე არ მოიქცენ ლენინგრადელი ამხანაგები.

სწორედ მაშინ მოგვიხდა მე, ამხ. კიროვს და მიკოიანს ლენინგრადში წასვლა. მე ამხ. ევდოკიმოვთან და კრუპსკაიასთან ერთად მომიხდა მოხსენებით გამოსვლა ვიბორგის რაიონის აქტივის კრებაზე. მე გავაკეთე მოხსენება ყრილობის უმრავლესობის სახელით, ყრილობის მეორე წევრი, ცეკას წევრი, ყრილობის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ევდოკიმოვი გამოვიდა თანამმხსენებით. ჩვენს წინააღმდეგ გამოდის აგრეთვე ნ. კ. კრუპსკაია. თავის მოხსენებაში, რომელიც გრძელდება მთელ საათს, ის ლაპარაკობს ყველაფერზე, მხოლოდ არა იმაზე, რომ მხარი უნდა დაუჭიროთ ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთი ნაწილის მეორე კრებაზე, რომელსაც დაესწრო გარნიზონის სამი ათასამდე კომუნარი, მე და ამხ. ევდოკიმოვს კიდევ მოგვიხდა გამოსვლა.

ამხ. ევდოკიმოვს ცხადათ და გარკვევით დაუყენეს კითხვა—სთვლის თუ არა ის სწორად ყრილობის გადაწყვეტილებას? მან უპასუხა: ჩემთვის საეჭვოა ეს ყრილობის გადაწყვეტილებასო. მაგრამ სწორია თუ არა ეს გადაწყვეტილება, იმან ამაზე არ გვიპასუხა და ყველამ მიიღო ისეთი შთაბეჭდილება, რომ ის სწორად არ სთვლის ამ გადაწყვეტილებას, რომ ეს არის მხოლოდ ფორმალური დამორჩილება.

ამგვარად, ამხანაგებმა, რომლებიც ყრილობაზე, ყოველნაირად ამტკიცებდენ, რომ მათ არავითარი უთანხმოება არა აქვთ ცეკასთან და სხვ., მეორე დღესვე დაიწყეს აგიტაცია მის წინააღმდეგ. ამასთანავე დამახასიათებელი იყო ამხ. ევდოკიმოვის გამოსვლა. ის ამბობდა: ჩვენ გლეხობის საკითხში ვარჩევთ ოქტომბრის პლენუმის და მე-22 საგუბერნიო კონფერენციის გადაწყვეტილებათა ნიადაგზეო. სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხში ჩვენ ვარჩევთ ლენინგრადის მე-22 კონფერენციის გადაწყვეტილების ნიადაგზე, ჩვენი პარტიის შემადგენლობის ზრდის მოწესრიგების საკითხში ჩვენ ვარჩევთ ისევ ლენინგრადის მე-22 კონფერენციის გადაწყვეტილებათა ნიადაგზეო. ჩვენ მას უპასუხებდით, რომ ეს იყო კონფერენცია ადგილობრივი, ყრილობამ კი გამოიტანა გადაწყვეტილება. მისაღებია თუ არა იგი თქვენთვის? ჩვენ გვიპასუხებდენ: დიახ, ჩვენ მას ვსთვლით საჭიროებულოთ ჩვენთვისო.

ამგვარად, მზადდებოდა ნიადაგი იდეური ბრძოლისათვის. მისი ორგანიზაციულად ჩამოყალიბება საჭირო არ იყო, იმიტომ რომ საგუბერნიო კომიტეტები მათ ხელშია. ეს ბორგის რაიონში, კრებაზე, რომელსაც დაესწრო დაახლოვებით 800 კაცი, მათ მიიღეს 55 ხმა, გარნიზონის კრებაზე მიიღეს 33 ხმა, კრებას კი დაესწრო 3 ნახ. ათასი კაცი, კრონშტადტში—იმათ მიიღეს 2—3 ხმა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ლენინგრადის ორგ ნიზაციის უმრავლესობა მაშინ მათ მხარეზე იყო. მე ვნახე მუშები, რომლებიც გამოდიოდენ და ვერ გაეგოთო, რატომ ლანძღავდენ მათ დელეგაციას. უნდათ გაიკეთონ თანამოსაზენებ? დეე, გაიკეთონ, რა არის აქ უცნაური, სურთ ლაპარაკი, დეე ილაპარაკონ. ყრილობის და ცეკას გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ ჩვენ არასოდეს არ წავალთ და სინდისიერად შეავასრულებთ ამ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ჩვენს დელეგაციას მხარს დაუჭერთო. აი ასე ლაპარაკობდენ.

პარტიის წინაშე დასმული იყო საკითხი, როგორ უნდა მოქცეულიყო ივი ყრილობის დასრულების შემდეგ: დავშვათ თუ არა თანამოხსენებები. პარტიამ გადასწყვიტა, რომ ყრილობა გათავდა და არ უნდა იქნას დაშვებული არავითარი თანამოხსენებები.

არის მხოლოდ ყრილობის ერთი გადაწყვეტილება

ამ ცნობების თანახმად, რომელიც ჩვენ თქვენთან ერთად მოგვიპოვება, თითქოს აღმოჩნდა, რომ ლენინგრადის დელეგაცია შეცდა, როცა განაცხადა, რომ მთელი ლენინგრადის ორგანიზაცია მას ემხრობა, ლენინგრადის ორგანიზაცია ემხრობოდა დელეგაციას მანამდე, სანამ ის დარწმუნებულა იყო, რომ ის ცეკას, ყრილობის წინააღმდეგ არ გამოვიდოდა. ლენინგრადის ორგანიზაციამ დაუჯერა მათ, როცა მათ სთქვეს, რომ ისინი მიდიან ყრილობაზე სრული ნდობით ცეკასადმი. მაგრამ როცა ლენინგრადის მუშებმა დანამდვილებით გაიგეს ყველაფერი და გაეცნენ ყრილობის ყველა მასალებს, როგორც სჩ ნს იმ გადაწყვეტილებებიდან, რომლებიც იბეჭდება ჩვენს გაზეთებში, მათ აშკარად ზუსტი შეაქციეს თავის დელეგაციას. მე სრულებითაც ეჭვი არ მეპარება, რომ ორი-სამი თვის შემდეგ ლენინგრადის ორგანიზაცია დადგება თავის ბრძოლის პოსტზე და ცეკასთან ერთად წაიყვანს პარტიას წინ (ტაში). ჩვენმა პარტიამ ყოველივე ღონე უნდა იხმაროს, რომ ლენინური რიგების მთლიანობა შენარჩუნებული იქნეს ყოველ მიზეზს გარეშე. მე მგონია, რომ ყრილობის იმ გადაწყვეტილებების არსებობის დროს, რომლებიც ჩვენ გვაქვს, ეს შესაძლებელია, და მე ვფიქრობ, თქვენც დამეთანხმებით, რომ ეს გადაწყვეტილებანი აბსოლიუტურად სწორია, ხოლო რომ ისინი სწორია, ამას მოწმობს ის, რომ ოპოზიციამ მიუხედავათ იმისა, რომ მის რიგებში არიან თვალსაჩინო ძალები, როგორიცაა ზინოვიევი და კამენევი, ვერ შესძლო ვერაფრის, ვერც ერთი წინადადების, ვერც ერთი სიტყვის მიტანება ამ გადაწყვეტილებებისათვის...

ჩვენი ახლანდელი შემადგენლობის ცენტრალური კომიტეტი, ისევე, როგორც ეს მოახერხა წინანდელი შემადგენლობის ცეკამ, დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებებს და წაიყვანს როგორც პარტიას, ისე ქვეყანას გამარჯვებიდან გამარჯვებამდე (მეტუხარე ტაში).

ლენინგრადის დელეგაცია

გადავდიგარ რა, ამხანაგებო, ლენინგრადის დელეგაციის და ლენინგრადის ორგანიზაციის საქციელზე მე უნდა განვაცხადო, რომ ყრილობაზე ლენინგრადის დელეგაცია იყო მონოლიტური. მიუხედავად იმისა რომ ამბ. ზინოვიევი მოითხოვდა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს შექმნას ჯგუფების ყველა მიმართულებების წარმომადგენლებისაგან. თავისი დელეგაცია მან შეადგინა ერთნაირი. სამოცდახუთიოვე ამხანაგი ყრილობის პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე ხმას აძლევდა ერთად, არ ჰქონია ადგილი არავითარ დაბნევას, არავითარ შეცდომას კენჭის ყრის დროს და ყოველთვის ეს დელეგაცია ყრილობაზე აცხადებდა, რომ ის სავსებით გამოხატავს მთელი ლენინგრადის ორგანიზაციის სულიერ განწყობილებას ხოლო ლენინგრადის ორგანიზაცია, ამხანაგებო, ეს არის ასი ათასი წევრიანი ორგანიზაცია. ლენინგრადის ორგანიზაცია, უსათუოდ, წარმოადგენს ჩვენს ერთ-ერთ საუკეთესო ორგანიზაციას. ყოველგვარი მოვლენის და მძიმე მომენტების დროს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში—ის ყოველთვის ცეკასთან იყო. ტროცკისთან დისკუსიის დროსაც და წინადაც, პროფკავშირების შესახებ გამართულ დისკუსიის დროსაც ლენინგრადის ორგანიზაცია გამოდიოდა ერთსულოვნად. ჩვენ მუდამ ვხედავდით ლენინგრადის ორგანიზაციას ჩვენი ყრილობების ხელმძღვანელად. მე-14-ე ყრილობაზე მან თავისი საქციელით სავსებით გარიყა თავისი თავი. რატომ მოხდა ეს? ისინი ამას ხსნიან მით, რომ თითქოს ყრილობა მომზადებული იყო ლენინგრადის ორგანიზაციის წინააღმდეგ. ეს არ არის მართალი რომელიმე თქვენთაგანს პარტიის ყრილობის წინ თუნდაც ერთი სიტყვა გაუგონია ლენინგრადის ორგანიზაციის შესახებ.

რასაკვირველია, არა. უსასინებდა ვინმე ლენინგრადის ორგანიზაციას? რასაკვირველია, არა. რომელიმე ჩვენ ამხანაგს მოუხდა ლენინგრადის ორგანიზაციის წინააღმდეგ გამოსვლა? რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ყრილობაზე ყველა დელეგაციები ჩამოვიდენ იმ რწმენით, რომ ჩვენ მივდივართ წინ, რომ პარტიაში საქმე არ არის ცუდათ. არსებობს სიძნელენი, მაგრამ პარტია შესძლებს მათ დაძლევას. ყველას ეგონა, რომ პარტიაში მეფობს სრული მთლიანობა, მაგრამ ეს არ გამართლდა. ლენინგრადის დელეგაციამ პირველ დღიდანვე დაიჭირა განსაკუთრებული პოზიცია და ყრილობამ იგრძნო განხეთქილების საფრთხე იმ დროს, როცა პარტიას სურს მთლიანობა ყოველ მიზეზის გარეშე. აი ეს იყო იმის მიზეზი, რომ ლენინგრადის დელეგაცია განმარტოებული დარჩა. ცეკას ანგარიშის გარშემო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მეორე დღესვე, ლენინგრადელი ამხანაგები დაბრუნდენ ლენინგრადში და დაიწყეს რეზოლიუციების გამოტანა ყველა რაიონებში იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია მთლიანად და სავსებით ეთანხმება თავის დელეგაციას. ჩვენი პარტიის ისტორიაში ვერ ნახავთ სხვა ასეთ მაგალითს. გადაწყვეტილების მიღებამდე შეიძლება კამათი, საკითხის განხილვა და სხვ., მაგრამ იმის შემდეგ, რაც გადაწყვეტილება მიღებულია, უნდა შეწყდეს ყოველგვარი დავა, და კეთილსინდისიერათ უნდა იქნეს ცხოვრებაში გატარებული მიღებული გადაწყვეტილებანი. ამ შემთხვევაში ასე არ მოიქცენ ლენინგრადელი ამხანაგები.

სწორედ მაშინ მოგვიხდა მე, ამხ. კიროვს და მიკოიანს ლენინგრადში წასვლა. მე ამხ. ევდოკიმოვთან და კრუპსკაიასთან ერთად მომიხდა მოხსენებით გამოსვლა ვიბორგის რაიონის აქტივის კრებაზე. მე გავაკეთე მოხსენება ყრილობის უმრავლესობის სახელით, ყრილობის მეორე წევრი, ცეკას წევრი, ყრილობის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ევდოკიმოვი გამოვიდა თანამმხსენებით. ჩვენს წინააღმდეგ გამოდის აგრეთვე ნ. კ. კრუპსკაია. თავის მოხსენებაში, რომელიც გრძელდება მთელ საათს, ის ლაპარაკობს ყველაფერზე, მხოლოდ არა იმაზე, რომ მხარი უნდა დაუჭიროთ ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთი ნაწილის მეორე კრებაზე, რომელსაც დაესწრო გარნიზონის სამი ათასამდე კომუნარი, მე და ამხ. ევდოკიმოვს კიდევ მოგვიხდა გამოსვლა.

ამხ. ევდოკიმოვს ცხადათ და გარკვევით დაუყენეს კითხვა—სთვლის თუ არა ის სწორად ყრილობის გადაწყვეტილებას? მან უპასუხა: ჩემთვის საეჭვოა ეს ყრილობის გადაწყვეტილებასო. მაგრამ სწორია თუ არა ეს გადაწყვეტილება, იმან ამაზე არ გვიპასუხა და ყველამ მიიღო ისეთი შთაბეჭდილება, რომ ის სწორად არ სთვლის ამ გადაწყვეტილებას, რომ ეს არის მხოლოდ ფორმალური დამორჩილება.

ამგვარად, ამხანაგებმა, რომლებიც ყრილობაზე, ყოველნაირად ამტკიცებდენ, რომ მათ არავითარი უთანხმოება არა აქვთ ცეკასთან და სხვ., მეორე დღესვე დაიწყეს აგიტაცია მის წინააღმდეგ. ამასთანავე დამახასიათებელი იყო ამხ. ევდოკიმოვის გამოსვლა. ის ამბობდა: ჩვენ გლეხობის საკითხში ვარჩევთ ოქტომბრის პლენუმის და მე-22 საგუბერნიო კონფერენციის გადაწყვეტილებათა ნიადაგზეო. სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხში ჩვენ ვარჩევთ ლენინგრადის მე-22 კონფერენციის გადაწყვეტილების ნიადაგზე, ჩვენი პარტიის შემადგენლობის ზრდის მოწესრიგების საკითხში ჩვენ ვარჩევთ ისევ ლენინგრადის მე-22 კონფერენციის გადაწყვეტილებათა ნიადაგზეო. ჩვენ მას უპასუხებდით, რომ ეს იყო კონფერენცია ადგილობრივი, ყრილობამ კი გამოიტანა გადაწყვეტილება. მისაღებია თუ არა იგი თქვენთვის? ჩვენ გვიპასუხებდენ: დიახ, ჩვენ მას ვსთვლით საჭიროებულოთ ჩვენთვისო.

ამგვარად, მზადდებოდა ნიადაგი იდეური ბრძოლისათვის. მისი ორგანიზაციულად ჩამოყალიბება საჭირო არ იყო, იმიტომ რომ საგუბერნიო კომიტეტები მათ ხელშია. ეს ბორგის რაიონში, კრებაზე, რომელსაც დაესწრო დაახლოვებით 800 კაცი, მათ მიიღეს 55 ხმა, გარნიზონის კრებაზე მიიღეს 33 ხმა, კრებას კი დაესწრო 3 ნახ. ათასი კაცი, კრონშტადტში—იმათ მიიღეს 2—3 ხმა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ლენინგრადის ორგ ნიზაციის უმრავლესობა მაშინ მათ მხარეზე იყო. მე ვნახე მუშები, რომლებიც გამოდიოდენ და ვერ გაეგოთო, რატომ ლანძღავდენ მათ დელეგაციას. უნდათ გაიკეთონ თანამოსაზენებ? დეე, გაიკეთონ, რა არის აქ უცნაური, სურთ ლაპარაკი, დეე ილაპარაკონ. ყრილობის და ცეკას გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ ჩვენ არასოდეს არ წავალთ და სინდისიერად შეავასრულებთ ამ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ჩვენს დელეგაციას მხარს დაუჭერთო. აი ასე ლაპარაკობდენ.

პარტიის წინაშე დასმული იყო საკითხი, როგორ უნდა მოქცეულიყო ივი ყრილობის დასრულების შემდეგ: დავშვათ თუ არა თანამმხსენებები. პარტიამ გადასწყვიტა, რომ ყრილობა გათავდა და არ უნდა იქნას დაშვებული არავითარი თანამოხსენებები.

არის მხოლოდ ყრილობის ერთი გადაწყვეტილება

ამ ცნობების თანახმად, რომელიც ჩვენ თქვენთან ერთად მოგვიპოვება, თითქოს აღმოჩნდა, რომ ლენინგრადის დელეგაცია შეცდა, როცა განაცხადა, რომ მთელი ლენინგრადის ორგანიზაცია მას ემხრობა, ლენინგრადის ორგანიზაცია ემხრობოდა დელეგაციას მანამდე, სანამ ის დარწმუნებულა იყო, რომ ის ცეკას, ყრილობის წინააღმდეგ არ გამოვიდოდა. ლენინგრადის ორგანიზაციამ დაუჯერა მათ, როცა მათ სთქვეს, რომ ისინი მიდიან ყრილობაზე სრული ნდობით ცეკასადმი. მაგრამ როცა ლენინგრადის მუშებმა დანამდვილებით გაიგეს ყველაფერი და გაეცნენ ყრილობის ყველა მასალებს, როგორც სჩ ნს იმ გადაწყვეტილებებიდან, რომლებიც იბეჭდება ჩვენს გაზეთებში, მათ აშკარად ზუსტი შეაქციეს თავის დელეგაციას. მე სრულებითაც ეჭვი არ მეპარება, რომ ორი-სამი თვის შემდეგ ლენინგრადის ორგანიზაცია დადგება თავის ბრძოლის პოსტზე და ცეკასთან ერთად წაიყვანს პარტიას წინ (ტაში). ჩვენმა პარტიამ ყოველივე ღონე უნდა იხმაროს, რომ ლენინური რიგების მთლიანობა შენარჩუნებული იქნეს ყოველ მიზეზს გარეშე. მე მგონია, რომ ყრილობის იმ გადაწყვეტილებების არსებობის დროს, რომლებიც ჩვენ გვაქვს, ეს შესაძლებელია, და მე ვფიქრობ, თქვენც დამეთანხმებით, რომ ეს გადაწყვეტილებანი აბსოლიუტურად სწორია, ხოლო რომ ისინი სწორია, ამას მოწმობს ის, რომ ოპოზიციამ მიუხედავათ იმისა, რომ მის რიგებში არიან თვალსაჩინო ძალები, როგორიცაა ზინოვიევი და კამენევი, ვერ შესძლო ვერაფრის, ვერც ერთი წინადადების, ვერც ერთი სიტყვის მიტანება ამ გადაწყვეტილებებისათვის...

ჩვენი ახლანდელი შემადგენლობის ცენტრალური კომიტეტი, ისევე, როგორც ეს მოახერხა წინანდელი შემადგენლობის ცეკამ, დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებებს და წაიყვანს როგორც პარტიას, ისე ქვეყანას გამარჯვებიდან გამარჯვებამდე (მეტუხარე ტაში).

ჩინეთის ამბები

იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ

პეკინი, 14 იან. პეკინში შესდგა საპროტესტო მიტინგი იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ მანჯურიაში. მიტინგში მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცმა. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს დუან-ცზი-ჩეუის დაუყოვნებლივ გადადგომას, სახალხო მთავრობის შედგენას და ზოგიერთ მოხელეების დაპატიმრებას.

მიტინგი და დემონსტრაცია, რომელიც მიტინგს მოყვა, ალაბაშორტყუმული იქნა პოლიციის ძალიერი რაზმისა და ჯარების მიერ. ჩინეთის პოლიცია იცავდა საელჩო უბანს. როგორც კი დაიწყო დემონსტრაცია, საელჩო უბნის დასაცავად გამოწვეული იქნენ უცხოეთის ჯარები და უბნის ეზოკრის წინ მოეწყო ბარიკადები.

მიტინგის დათავრების შემდეგ დემონსტრაცია გაეგზავნა პეკინის გუბერნატორის ბინისაკენ და გადასცა მას ზემოაღნიშნული მოთხოვნილებები და განუცხადა მას, რომ მახები თვითონ გადაიყენებენ დუან-ცზი-ჩეუის, თუ ის ნებაყოფლობით არ გადადგება.

ლოკარნო და ინგლისის ახალშენები

საბჭრეთ-აფრიკა არ სცნობს ლოკარნოს

ლონდონი, 14 ი.ნვ. ყველა გაზეთები, „ტაიმსის“. გარდა, ათავსებენ კაპიტალისტიდან მიღებულ ცნობას იმის შესახებ, რომ საბჭრეთ-აფრიკის მთავრობა უარს იტყვის ლონდონის საერთაშორო კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. ამასთანავე აცხადებენ, რომ საბჭრეთ აფრიკის მთ ევროპის მეთაური გერკოკი დათანხმდა საბჭრეთ-აფრიკის მიერ ერთა ლიგის წესდებიდან ვალდებულებათა მიღებაზე, მაგრამ ფუტრობს უარყოს ლოკარნოს ხელშეკრულება და საერთოდ ევროპის სხვა შეთანხმებები.

ამერიკა--მსოფლიო განკირი

ნიუ-იორკი, 14 იანვ. 1925 წელს შეერთებულ შტატების მიერ უცხოეთის წარმოებებში მოთავსებული იქნა კაპიტალი—1.346 მილ. დოლარის რაოდენობით. 1924 წელს შეერთებულ შტატების მიერ გატანილ იქნა კაპიტალი—1.200 მილ. დოლარი. 1925 წელს შეერთებულმა შტატებმა გასცეს შემდეგი სესხები ევროპაში: იტალიის მთავრობას—100 მილ. დოლარი, ბელგიას—50 მილ. დოლარი, პოლონეთს—35 მილ. დოლარი, დანიასა და ნორვეგიას, თვითეულს -30 მილ. დოლარი, ჩეხოსლოვაკიას—25 მილ. დოლარი, ფინეთს—10 მილ. დოლარი. ამავე დროს ევროპის მწარმოებელთა გაერთიანებას მიეცა სესხათ—325 მილ. დოლარი. სამხრეთ-ამერიკას—203 მილ. დოლარი, აზიის წარმოებებს 66 მილ. დოლარი, ავსტრალიას—75 მილ. დოლარი. კანადას საერთო ჯამით მიეცა სესხათ—264 მილ. დოლარი.

ინგლისის „შეთანხმება“ ირაქთან

ლონდონი, 14 იან. რეიტერის სააგენტოს მაღდადიდან ატყობინებენ, რომ ირაქში ინგლისის უმაღლესი კომისარის მოადგილემ და ირაქის პრემიერმა ხელი მოაწერეს ინგლის-ირაქის ხელშეკრულებას 25 წლის ვადით. ხელშეკრულება წარედგინება დასამტკიცებლად ირაქის პარლამენტს. ხელშეკრულების პირობები ახლო ხანში იქნება გამოქვეყნებული.

მოკავშირეთა ვალები

იტალიის დელეგაცია ლონდონში

ლონდონი, 14 იანვ. ლონდონში ჩავიდა იტალიის დელეგაცია, რომლის მიზანია მოლაპარაკება იტალიის ინგლისისადმი დავალიანების საკითხის მოსაწესრიგებლად.

ელჩთა საბჭოს დადგენილება

ბერლინი, 14 ინნვ. ცხობამ, რომ ელჩების საბჭოს ქვე-კომისიამ მოკავშირეთა ჯარების რიცხვი ოკუპაციაქმნილ ოლქებში განსაზღვრა 75,000 კაცით, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გერმანიაში. ამ დადგენილებას უყურებენ როგორც არა მარტო ლოკარნოს ხელშეკრულების, არამედ ვერსალის ხელშეკრულების დარღვევასაც.

მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ ელჩთა საბჭო არ დაამტკიცებს ამ დადგენილებას.

სიცივეები ევროპაში

ბერლინი, 14 ინნვ. სიცივეების ტალღა ამჟამად მოედო მთელ ევროპას.

გერმანიაში სიცივე აღწევს 22 გრადუსს, **საფრანგეთში**—12. **ეხანეთიდან** და **საბჭრეთ-საფრანგეთიდან** მიღებულია ცნობები დიდი ქარბუქის შესახებ. **ფინეთის** ყურეს რაიონში სიცივე აღწევს 30 გრადუსამდი. ყინულების მოწოლა გრძელდება, რის გამო გერმანიის სამხედრო გემი „გეგსენ“ იძულებული შეიქნა ხელი აეღო დახმარების აღმოჩენაზე იმ გემებისთვის, რომლებიც ყინულებში მოექცენ.

ახალგაზრდობის კონვინტერნში

აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

მოსკოვი, 15 ინნვ. ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი მოწვეულია მოსკოვში 15 თებერვლისთვის. აღმასკომის წევრებ გარდა პლენუმში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელნი—კომუნისტურ ახალგაზრდობის მთავარ ორგანიზაციების დელეგატები.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

ინდოეთი

პროფკავშირების სრულიად ინდოეთის კანონი

ლონდონი, 13 იანვ. სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს უმუშევართა მდგომარეობის გამორკვევას უმუშევრობისა, ავადმყოფობისა და მოხუცებულობისგან დაზღვევის შემოღების მიზნით. რეზოლიუცია მოითხოვს არსებულ ჯარი

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანოგისათვის

ლენინგრადის კოლექტივებში

ლენინგრადი, 15 იან. 13 იანვარს შესდგა რამდენიმე დიდ კოლექტივების კრება, რომელზედაც სხვებით გიზიარეს ყრილობის დადგენილებები და დაჰგმეს ოპოზიციის გამოსვლა.

ოქტომბრის რკინის გზის სატრანსპორტო ნაწილის კრებას დაესწრო 500 კომუნარი. ამხ. ანდრეევის მოხსენების შემდეგ მიღებული რეზოლიუცია, რომელიც გმობს ოპოზიციის გამოსვლას. „რება“ აღფთქვამს ცეკას მხარის დაჭერას ყრილობის ყველა დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლათ.

მეორე დიდი კრება შესდგა „ბოლაია ოხტაზე“. აქ შეიკრიბენ „პეტროზავოდის“, მესამე სატყეო ქარხნის, ელატნის ქარხნის, მსროელი პოლკის და სხვა კოლექტივები. კრებას დაესწრო 1000 დელეგატი. ერთხმათ მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც ჰგმობს ლენინგრადის დელეგაციის მოქმედებას და ვოლოდ რსკის რაიკომის პოლიტიკას, რომელსაც აღარ შეძლიან ატაროს ხელმძღვანელი პარტიულ ორგანოს წოდება.

ვოლოდარსკის რაიონის 25 კოლექტივის ჯგუფური კრება თავისი რეზოლიუციით საყვედურებით უერთდება ყრილობის უმრავლესობას. ამ კრებას დაესწრო 1500 კაცი.

ჩრდილოეთ-დასავლეთის რკინის გზაზე შესდგა დიდი კრება, აქ მეთოთხმეტე პარტყრილობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. კალინინი, 1286 ხმის უმრავლესობით წინაადმდეგ 52 ხმისა მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც ჰგმობს ოპოზიციის მოქმედებას და მოითხოვს, რომ მან

ქრონიკა

ადგილობრივი

— **ახალი საბინაო ტარიფი.** თბ. აღმასკომმა დაამტკიცა ახალი საბინაო ტარიფის პროექტი, რომელიც დაიბეჭდება ამ დღეებში.

შრომის სახ. კომისარიატში

— **კომისარიატმა** ბორჩალოს მაზრაში შრომის ინსპექტორად დანიშნა ამხ. ხანდაბოვი.

სოც. დაზღვევის სამმართველოში

— **საზამთრო აგარაკებზე.** სოც. დაზღვევის სამმართველომ აკარისტანის, კობის და ბორჯომის დამზღვევ სალაროებისათვის აბასთუმანში გოკიელოვისეულ აგარაკზე აიღო 4 ადგილი.

— **დახმარება.** აფხაზეთის მუშათა მედიცინის სამმართველოს სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასცა 500 მან.

— **დახმარება.** დეკემბრის განმავლობაში თბ. დამზღვევ სალაროს დასახჩრებულებს მისცა 2765 მან.

— **პროფსაბჭოს** მიერ მოწყობილ პროფმოძრაობის კურსების მსმენელები დაიბადა თბილისის დამზღვევ სალაროს.

სხვადასხვა

— **თამბაქოს საწყობები.** თამბაქოს ტრესტის ცნობით, გაგრაში ეწყობა რამდენიმე დიდი საწყობი თამბაქოს შესანახად.

— **სპირტის ხახდელ** ქარხნის მოსაწყობათ აფხაზეთის უმ. სამეურნეო საბჭომ რუსეთიდან მიიღო მანქანები.

— **მონადირეთა კავშირი** ახლო ხანში თბილისში მოიწვევს ა.-კ. მონადირეთა ორგანიზაციების ყრილობას.

— **თხილის გაგანა.** ა.-კ. კოოპ. კავშირმა ამერიკაში გაგზავნა 6400 ფუთი საქ. თხილი.

კრებები და მოხსენებები

— **სატყეო თათბირი.** 28 თებერვალს თბილისში მოწვეული იქნება სატყეო მუშაკთა თათბირი.

— **გ. გალსტონის ჩამოსვლა.** ახლო ხანში თბილისში ჩამოვა გამოჩენილი პიანისტი გოტფიდ გალსტონი, რომელიც გამართავს რამდენიმე კონცერტს.

— **„მაცი-ხვიტია"** „ეკონომიურ-ფინ"-ის ა | კ. განყოფილებას განხრახვა აქვს ლენტზე გადაიღოს ანტონ ფურცელაძის რომანიდან.

— **საშეფო წარმოდგენა.** 18 იან. წითელ თეატრში გაიმართება საშეფო წარმოდგენა წითელარმიელთათვის.

— **„ალი".** კვირას საოპერო თეატრში ბავშვებისათვის წარმოდგენილი იქნება „ალი".

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „გმირი".

— **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „რუსლან და ლიუდმილა".

— **წარმოდგენა საბურთალოს მუშათა კლუბში.** დღეს, 16 იანვარს, საბურთალოს მუშათა კლუბში გაიმართება ფუფაო წარმოდგენა.

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** კვირას, 17 იანვარს, დღის 12 საათზე ხელოვნების სახლეში შესდგება ასოციაციის გამგეობის კრება. „ფეცალებლთ უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ნ. ზომლეთელი, ს. ეფული, შ. დედუბრავა, გ. ბუხნიკაშვილი, კ. კალაძე, ა. მაშაშვილი, ბ. ბუაჩიძე, ნ. ესაკია, გ. ხეჩუაშვილი, დ. რონდელი და გ. შინატელი.

— **ტყავის ქარხნის (№ 1) ადგილკომმა** გადასწყვიტა ქარხნის სამკითხველოს სათანადოთ მოსაწყობათ ახლო ხანში გამართოს ფასიანი საღამო-წარმოდგენა.

— **ახალ მუშათა კლუბში** შაბათს ბაბილონი დ იდი საღამო 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის აღსანიშნავად.

—

დღეს კინოებში

— „ა პ ო ლ ლ ო — „მძიმე წლე ბი".
— „პ ა ლ ა ს ი — „ჯალათები".
— „ს ო ლ ე ი — „ორი პრეტენდენტი".
— „ა რ ფ ა ს ტ ო — „სიყვარულის თვალები".
— „მ ი ნ ი ო ნ ი — „თოვლასხმა ვირგინიის ფოსტაზე".

ხელოვნება

— **„ალი".** ... ალ. ... ალ. ... ალ.